# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 26 მარტი 2007 №66 (2989) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნულის ეროვნული საკითხები

## ილაპარაკეთ, ოღონდ რუსულად ნუ ილაპარაკებთ!

პრველი — იქნებ როგორმე მოვიშალოთ ოფიციალურ დონეზე რუსულად ლაპარაკი! ადრე თუ გვიან ხომ უნდა მივხვდეთ და გავიაზროთ, რომ საქართველო რუსეთი აღარაა და, შესაბამისად, ვალდებულებიც არ ვართ, რომ სტუმრებს ჩვენი დახვეწილი რუსულით თავი მოვაწონოთ. ცინიზმი იქით და, როცა რუმინეთი ან პორტუგალია ჩამოდიან, ხომ არავის მოსდის აზრად რუმინული და პორტუგალიური ენების მცოდნის მოძებნა და მიკროფონთან დასმა, არიქა, სტუმრებს მშობლიურ ენაზე მოვასმენინოთ ყველაფერიო. ხომ არსებობს საერთაშორისო ენები?!

გასაგებია, რომ იმ ძველი, „ნერუშიმი სოიუზიდან" მეგობრობის ძაფები მოგვყვება, მაგრამ მეგობრობა და გაგება სუფრაზე. ხოლო ეროვნულ სტადიონზე რუსეთის წარმომადგენლები ინგლისურად ან თუნდაც ფრანგულად გამოცხადებითაც გაიგებენ, რომ, ვთქვათ, კობზევმა ხროკინი შეცვალა.

მეორე, კი ბატონო, მოწინაალმდეგის ეროვნულ ჰიმნზე სტვენა ნამეტანი უწესობაა, მაგრამ ეს გულშემატკივრების საქმეა, მათი შეგნების ამბავია. ყოველ შემთხვევაში, სტვენა ბოთლების სროლაზე ბევრად ნაკლებ უკულტურობად მიგვაჩნია. ჩვენ სხვა რამეს ვკითხულობთ: თქვენი ჭირიმეთ, გაგვაგებინეთ, რამდენ წუთს ჟღერდა რუსეთის ჰიმნი? ალბათ ბრეჟნევივით მოუვიდა დამმონტაჟებელს თუ ჩამომტანს — სამჯერ გაიმეორა ისე, რომ ვერც შენიშნა.





საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

გლაზგო. 24 მარტი. 15.00 საათი. ჰემპდენ პარკი. 50 850 მაყურებელი

**შოტლანდია 2:1 საქართველო**

1:0 ბოიდი (11), 1:1 არველაძე (41), 2:1 ბიტი (88)

შოტლანდია: გორდონი, ალექსანდერი, ვეირი, მაკმანუსი, ნეისმიტი, ტილი (ბრაუნი 60), ფერგიუსონი, ჰარტლი, მაკკალოხი, მილერი (მელონი 90), ბოიდი (ბიტი 76)
სათადარიგონი: მაკგრეგორი; მარტლი, დეილი, სევერინი
მწვრთნელი: ალექს მაკლიში

საქართველო: ლომაია, შაშიაშვილი, სალუქვაძე, ხიზანიშვილი, ელიავა, ბურდული (სირაძე 57), მენთეშაშვილი (გოგუა 46), ცქიტიშვილი (მუჯირი 90), კობიაშვილი, დემეტრაძე, არველაძე
სათადარიგონი: რევიშვილი; კვირკველია, იაშვილი, აშვეთია
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

გაფრთხილება: მენთეშაშვილი, სალუქვაძე, დემეტრაძე, ფერგიუსონი

მსაჯი: ვოლკარცი (დანია)

# შეცდომების გასწორება თვითმფრინავიდან



დავით თავართქილაძე გლაზგოდან

**კლაუს ტოპმიოლერი** და მისი თანაშემწე რალფ მინგე თვითმფრინავში ლეპტოპზე შოტლანდია — საქართველოს უყურებდნენ, მომენტებს რამდენჯერმე ატრიალებდნენ და არჩევდნენ.

ურიგო არ არის, როცა მწვრთნელი მალევე იწყებს თავისი შეცდომების გაანალიზებას — შოტლანდიაში წაგებული მატჩი ალბათ ერთ-ერთი უცუდესი იყო ტოპმიოლერისთვის.

შოტლანდიამ ის ითამაშა, რაც იცის და — მოიგო: შეუპოვარი ბრძოლა, ბურთის ჩაგდება მეტოქის საჯარიმოში თუ მის მისადგომებთან. საქართველომაც ის ითამაშა, რაც იცის და რაც ტოპმიოლერმა ასწავლა, ეპიზოდებში ჩვენი ნაკრები მართლაც კარგად ირჯებოდა, მაგრამ სხვათა გარდა მწვრთნელის შეცდომებმაც მოუთავა საქმე.

დევიდ ვაიერი ჰაერში აიწია და თავურით ოდნავ ააცილა გიორგი ლომაიას კარს — მე-4 წუთის შემდეგ ორივე გუნდმა დაალაგა თამაში, პირველი წუთებით გამოწვეული ნერვიულობაც გაქრა და კარგად გამოჩნდა, ვინ რისი მაქნისი იყო და გოლიც — გარი ტილიმ მარჯვნიდან ჩააწოდა, ბურთი ორივე ცენტრალურ მცველს, ზურაბ ხიზანიშვილს და ლაშა სალუქვაძეს გადასცდა და რეინჯერსელმა კრის ბოიდმა მძლავრი თავურით გაიტანა.

საქართველო არ შედრკა, ნელნელა ბურთზე კონტროლი მოიპოვა, შესანიშნავად გასწია პლეიმეიკერობა ლევან ცქიტიშვილმა, მარცხენა მცველი ზაალ ელიავაც კარგად ათამაშდა, გიორგი დემეტრაძემ კი სქოთთა აზმაზი მცველები დატანჯა — გამუდმებით ფინტაობდა და მოძრაობდა.

შეტევაზე გადასულმა საქართველომ კინაღამ აქეთ გაუშვა კიდევ ერთი გოლი — ტილი თამაშგარეში ვერ ჩატოვეს, თუმც მან ახლოდან სუსტად, ოღონდ ცუდად დაარტყა და ლამაიამაც ზიფათი გააუვნებელა.

ჩვენებმა კიდევ უფრო სახიფათოდ და მძლავრად შეუტიეს, ტექნიკით, ბურთის გაგორებით დაჯაბნეს მოწინააღმდეგე. დემეტრაძის ჩახვეული კრეიგ გორდონმა მოიგერია; ხიზანიშვილმა თავით ბოიდს აჯობა და ბურთი ძელს გაარტყა — გოლი მწიფდებოდა და მოსახდენიც მოხდა — დემეტრაძემ მარცხენა ფლანგზე რეტი დაასხა ვაიერს, ჩააწოდა, შოთა არველაძემ მცველებს აჯობა და უზადო თავურით შეაგდო გამთანაბრებელი.

შესვენებაზე ტოპმიოლერმა უთამაშებელი და უგუნდო ზურაბ მენთეშაშვილი გოგიტა გოგუათი შეცვალა. გოგუა ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე გამწესდა, ლევან კობიაშვილი ნახევარდაცვის ცენტრში შეიწია.

თამაში გაიხსნა, შოტლანდიას მოგება უნდოდა, მაგრამ ასეთი თამაშით მასზე ტექნიკურ საქართველოსაც მოემატა გამარჯვების შანსი. ტოპმიოლერმა მარჯვენაფლანგელი ლადო ბურდულის მაგივრად ფორვარდი დავით სირაძე შეუშვა, დემეტრაძე კი ბურდულის ადგილზე დააყენა. ასეთმა ტაქტიკურმა გადაადგილებამ არ გაამართლა, თავდამსხმელი დემეტრაძე მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდა მეტოქეს და როცა ის უკან დაზიეს, საქართველოს შეტევებს ჯანი მოაკლდა — სირაძე ხომ სულ სხვა ტიპის ფორვარდია და დემეტრაძესავით ვერ ითამაშებდა. რაც შეეხება ალექსანდრე იაშვილს, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, ტოპმიოლერმა არ იცოდა, რაში გამოეყენებინა ის და აკი არც ათამაშა.

არაოპტიმალურ ფორმაში მყოფი მენთეშაშვილი და დემეტრაძის თავდასხმიდან მოხსნა — ტოპმიოლერის ამ შეცდომებმა მნიშვნელოვნად განაპირობა თამაშის შედეგი.

საქართველოს ნაკრებში არ აღმოჩნდა ისეთი ცენტრალური ნახევარმცველი, შოტლანდიელთა სწორხაზოვან, მაგრამ ღონიერ შეტევებს რომ ჩაშლიდა. ზეწოლა იზრდებოდა, მთელი სიმძიმე დაცვას აწვებოდა, სადაც ლიდერი ხიზანიშვილი კი იყო, მაგრამ მტკივანმა საზარდულმა საბედისწეროდ უმტყუნა — ზურას თითქოს ფეხი გაეჭედა, ბურთი ვერ მოიგერია, იმ ეპიზოდში მისი დაზღვევაც ალბათ შეუძლებელი იყო და სელტიკელმა კრეიგ ბიტიმ ამით საგოლედ ისარგებლა.

საქართველო ცხრილში მხოლოდ ფარერებს უსწრებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12:2 | 12 |
| შოტლანდია | 5 | 4 | 0 | 1 | 11:4 | 12 |
| უკრაინა | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| იტალია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ლიტვა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 10:11 | 3 |
| ფარერები | 5 | 0 | 0 | 5 | 0:20 | 0 |

*28 მარტი*
უკრაინა — ლიტვა
საქართველო — ფარერები
იტალია — შოტლანდია

# შავი ტაქსის და ავტობუსის ამბავი

– სასტუმროდან მუქი, ელეგანტური ავტობუსით წავედით სტადიონზე, ჟურნალისტების გარდა ავტობუსში 50-მდე გულშემატკივარიც იყო, ბევრმა შეგვამჩნია, ზოგი ჯიგრულად მოგვესალმა, ზოგმაც კოლტი აიწია და თავისი ავლადიდება დაგვანახა — ხალხი შოტლანდიაშიც ჭრელია.

ჭრელი იყო „ჰემპდენ პარკიც", ფერადი და მხიარული, ლამაზი და მძვინვარე.

შოტლანდიაში ისიც იციან, თუ ვის ამღერონ ჰიმნი — ჭარმაგი რონი ბრაუნი სიმღერაში come on, come on-საც გულიანად ამატებდა.

გლაზგოში მისი აღმატებულება, საქართველოს პრეზიდენტიც ჩამოვიდა. კლაუს ტოპმიოლერით შეიარაღებული საქართველოს ნაკრები ხომ მისი პროდუქტიცაა. ჩამოვიდნენ ხელისუფლების ცნობილი სახეებიც.

გლაზგომ სმა პარასკევ საღამოს დაიწყო, პაბებში ტევა არ იყო, ზოგი ქუჩაშიც შარდავდა. ეს უკვე ზეიმის დასაწყისი იყო.

გლაზგოში ქართველები ირლანდიიდანაც ჩამოვიდნენ, „ჰემპდენზე" ხუთასამდე ქართველმა მოიყარეთ.

ტოპმიოლერს რა ენაღვლება, კონტრაქტი დაუმთავრდება, ფულს აიღებს და წავა — ვისგან აღარ გაიგებ ამას, მაგრამ მწვრთნელის ხელობაც ეგ არის, უნდა იმუშაოს, ფული აიღოს და წავიდეს, ნაკრებში გი რუ და ალექს ფერგიუსონი ვერავინ იქნება.

საქართველოს ნაკრებმა შესარჩევ ეტაპზე მორიგი გარდამტეხი თამაში წააგო, მაგრამ იყო მომენტები, „ჰემპდენზე" ქართველობა სიამაყით რომ ივსებოდა. ცქიტოს და დემეს ფინტები, შოთას გოლი, რომელსაც რეინჯერსერულ კარიერაში „ჰემპდენზე" გოლი ვერ შეეგდო და ეს ნაკრებში მოახერხა, თანაც შოტლანდიელ ქომაგს პატივი სცა და გოლი ერთობ მოკრძალებულად აღნიშნა.

კარგია, თუ ქართველებს საფეხბურთო მითები კიდევ შეგვრჩა.

„რეალისტები უნდა ვიყოთ, ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ შეგვრჩა, ძლიერ გუნდთან წავაგეთ და ეს სირცხვილი არ არის" — თქვა პრესკონფერენციაზე ტოპმიოლერმა.

რაც ის ჩვენი მწვრთნელია, მისგან სირცხვილის ხსენება პირველად გავიგე. საქართველომ ამ შესარჩევში ზედიზედ მეოთხე თამაში წააგო...

სტადიონიდან გამოსულ ჟურნალისტებს ელეგანტური, მუქი ავტობუსი არ დაგველოდა. გლაზგოში მეტწილად შავ ტაქსებს დააგელვებენ, თუმც არც ისინი ჩანდნენ. ამასობაში ორი გამომთვრალი ყმაწვილი გადაგვეყარა, გვიცნეს და მყისვე გვითხრეს – ჩვენ თქვენ მოგიგეთ, ჩვენ ყველაფრის მჟიმავი იღბალი გვაქვს, თორემ თქვენი გუნდი ურიგო არ არის.

ჩვენ მართლაც არ გვაქვს ყველაფრის მჟიმავი იღბალი, ალბათ იმიტომ, რომ ამას ჯერ არ ვიმსახურებთ.

მწუხრზე, როგორც იქნა, ტაქსი გავაჩერეთ. ტაქსი ისეთი შავი იყო, როგორც საქართველოს უმთვარო ღამე.

**დავით თავართქილაძე** *გლაზგოდან*



შოთა არველაძემ გლაზგოში 26-ე სანაკრებო გოლი გაიტანა

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

# საფრანგეთი ფრეს გადაურჩა

**ლიტვა 0:1 საფრანგეთი**

0:1 ანელკა (73)
ლიტვა: კარჩემარსკასი, სტანკევიჩიუსი, შკერლა, ჟვირგჟდაუსკასი, პაულაუსკასი, შემბერასი, კლიმავიჩიუსი, სავენასი (კალონასი 77), მორინასი (ბენიუსისი 82), პოშკუსი (რაძინიავიჩიუსი 86), დანილევიჩიუსი
საფრანგეთი: კუპე, სანიოლი, ტურამი, გალასი, აბიდალი, ლ. დიარა, ტულალანი, მაკელელე, მალუდა (დიაბი 89), გოვუ (ჟ. სისე 62), ანელკა
გაფრთხილება: კლიმავიჩიუსი, დიარა
მსაჯი: ვები (ინგლისი)
10 000 მაყურებელი



**ლიტვის** ნაკრებს შესარჩევ ჯგუფში არავინ არაფრად აგდებდა, მაგრამ ბალტიისპირელებს კიდევ ერთ სენსაციამდე სულ ცოტა დააკლდათ. გახსომებათ, პირველად ალგიმანტას ლიუბინსკასის შეგირდებმა მაშინ გააოცეს საფეხბურთო მსოფლიო, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას სტუმრად 1:1 ეთამაშნენ.

წასაგები ლიტველებს თითქოს არც ფრანგებთან ჰქონდათ — კარგად ორგანიზებული დაცვა დიდხანს უძალიანდებოდა „მამლებს" და უარს არც კონტრშეტევაზე ამბობდნენ, რამდენჯერმე რაიმონ დომენეკს სანერვიულოდაც კი გაუხადეს საქმე. მართალია, ფრანგებს ტრავმირებული ტიერი ანრი, პატრიკ ვიეირა, ფრანკ რიბერი და ლუი საა არ ჰყავდათ, მაგრამ დომენეკს მათი შემცვლელის პოვნა უფრო გაუადვილდა, ვიდრე ლიუბინსკასს ედგარას იანკაუსკასის. ლიტველებს გუშინ სწორედ მისი დარი ფორვარდი აკლდათ.

„მამლები" უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ ორიოდ მომენტის გარდა დასამახსოვრებელი ვერაფერი შექმნეს. ფრანგები უფრო აქტიურად მას შემდეგ ათამაშდნენ, რაც ჯობრილ სისემ სიდნეი გოვუ შეცვალა. სისეს აქტიურობამ ხელ-ფეხი გაუხსნა ნიკოლა ანელკასა და გამარჯვების გოლიც მის ანგარიშზეა. ვერ ვიტყვით, რომ ეს ერთადერთი გოლი ბალტიისპირელთა დაცვის მოუტევებელი შეცდომით გავიდა — ანელკამ შორიდან დაარტყა ძლიერად და ზუსტად.

მთლიანობაში ლიტვამ კარგი და მებრძოლი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, ფრანგებმა უფრო გამოცდილების ხარჯზე იმარჯვეს. მატჩი რომ რთული გამოდგა, ამას არც „სამფეროვანთა" გუნდის ფეხბურთელები მალავდნენ.

— ძალიან ძნელი მატჩი იყო, თუმცა გამარჯვება მაინც მოვიპოვეთ. ბოლომდე ვიბრძოლეთ და საბოლოოდ მაინც მოვძებნეთ ხვრელი მეტოქის დაცვაში. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ფრეს გადავურჩით — განაცხადა თამაშის შემდეგ ჟერემი ტულალანმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რა საჭირო იყო ამდენი ლაპარაკი: ადექი და გადათოვლე

**ფარერები 0:2 უკრაინა**

0:1 იეზერსკი (20), 0:2 გუსევი (57)
ფარერები: მიკელსენი, ოლსენი (ჰანსენი 74), იურმუსი, დანიელსენი, ს. იაკობსენი, ბენიამინსენი, ტომასენი, ბორგი, კ. იაკობსენი (მორგი 71), იოჰანესენი, სამუელსონი (ჰოლსტი 66)
უკრაინა: შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ტიმოშჩუკი (შელაევი 82), იეზერსკი, რუსოლი, გუსევი (ვორობეი 65), ჩიგრინსკი, მიხალიკი, კალინიჩენკო, ვორონინი, ბელიკი
გაფრთხილება: დანიელსენი
მსაჯი: სკომინა (სლოვენია)
717 მაყურებელი



**წინა** დღეებში დათოვლილი „სტანგასკარდი" იმაზე უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე ველოდით. მოედანი თამაშში ხელს თუ ვინმეს უშლიდა, პირველ რიგში მასპინძლებს და თუ უკრაინელებმა დიდი ანგარიშით ვერ მოიგეს, საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. ანდრეი შევჩენკოს, სერგეი რებროვის და რუსლან როტანის არყოფნაშიც კი უკრაინელთა უპირატესობა დიდზე დიდი იყო.

ოლეგ ბლოხინის გუნდი ძალიან იოლად გადიოდა კუნძულელთა დაცვას, თანაც მთელი პირველი ტაიმი უკრაინელთა შეტევები ერთფეროვანი იყო — ვლადიმირ ეზერსკი მარჯვენა ფლანგიდან „ამარაგებდა" ალექსეი ბელიკს და ტარას მიხალიკს. ეზერსკის ფლანგური ჩაწოდებების გარდა, უკრაინელებს კუთხურებითაც შეეძლოთ ეხეირათ, მაგრამ ხან მეკარე იაკუპ მიკელსენი ყოჩაღობდა, ხანაც უკრაინელი შემტევები სცოდავდნენ.

სტუმრებს ეტყობოდათ, რომ ძალების დაზოგვით მოგებაც სურდათ და ეფექტურად გატანაც, მაგრამ გინდა თუ არა ლამაზ-ლამაზი გოლები არა და არ გამოსდიოდათ.

პირველი გოლი 21-ე წუთზე გავიდა, მანამდე კი ორჯერ მიხალიკს, თითოჯერ ბელიკსა და ანდრეი ვორონინს შეეძლოთ გატანა. გოლი კი ეზერსკიმ გაიტანა. „დნიპროს" მცველი ამჯერად თავად დაუხვდა მაქსიმ კალინიჩენკოს ჩაწოდებულ ბურთს და აუღელვებლად გაიტანა.

მეორე გოლი ოლეგ გუსევისა იყო — მას ვორონინის დარტყმული ბურთი მოუვიდა და გატანა არ გასჭირვებია.

2:0-ის შემდეგ უკრაინელებმა თავიც დაიმშვიდეს და თამაშიც, ფარერელეთა სურვილი კი, ამ შესარჩევ ციკლში პირველი გოლი გაეტანათ, ოცნებად დარჩა.

— 2:0 არ ასახავს იმ სიტუაციას, რაც მოედანზე იყო. ანგარიში გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო, თუმც ცუდმა საფარმა ამის საშუალება არ მოგვცა. მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი იყო, მეტოქე აშკარად სუსტია, მოედნის ჩვენს ნახევარზე რამდენჯერმე თუ გადმოვიდნენ — განაცხადა ნამატჩევს ოლეგ ბლოხინმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ღონიერთა ერთობა

## დონადონიმ ანგლოსაქსურ ფილოსოფიაში ჩაიხედა

**შოტლანდიისა** და საქართველოს ნაკრებთა დაპირისპირებას „ჰემპდენ პარკის" ტრიბუნიდან თვალს იტალიის ნაკრების მწვრთნელი რობერტო დონადონიც ადევნებდა — „სკუადრა ატურა" შოტლანდიელებს 28 მარტს ბარის „სტადიო სან ნიკოლაზე" მასპინძლობს.

„ჩვენი ოთხშაბათის მეტოქე ძალიან ძლიერი გუნდი ყოფილა — დაახასიათა მატჩის შემდეგ დონადონიმ ალექს მაკლიშის რაზმი — შოტლანდიელები მეტისმეტად ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ ნახევარდაცვაში ფრიადი ოსტატობითაც გამოირჩევიან. მათ შორის გამორჩეული ფეხბურთელი ვერ შევამჩნიე, თუმცა როგორც გუნდი ჩინებულადაა აგებული და საოცრად ერთსულოვანია. ისინი ანგლოსაქსური საფეხბურთო ფილოსოფიის ტიპიური მიმდევრები არიან".

როგორც იტალიელი ჟურნალისტები ალნიშნავენ, საქართველოსთან სქოთთა გამარჯვებამ მსოფლიოს ჩემპიონებს გვარიანად გაურთულა საქმე.

დონადონი: „რასაკვირველია, ამ შედეგმა ცუდი სამსახური გაგვიწია, მაგრამ მის გამო საოთხშაბათოდ მოფიქრებული შემადგენლობის შეცვლას ერთი წუთითაც არ ვფიქრობ".

იმავ ჟურნალისტების თქმით, შეკრებაზე იტალიელთა თავკაცი ექსპერიმენტს ატარებს, გუნდს 4-3-2-1 განლაგებაში ავარჯიშებს. კერძოდ, დონადონის ექსპერიმენტული გუნდის თავდასხმაში წინ ლუკა ტონია წაწეული, აქეთ-იქიდან კი მას ტომაზო როკი, ანტონიო დი ნატალე, ალესანდრო დელ პიერო, მაურო კამორანეზი ან დებიუტანტი ფაბიო კალიარელა ეხმარებიან.

„ბარიში ინიციატივას ჩვენ მოვიპოვებთ და შოტლანდიელებს ჩვენ შევთავაზებთ ტემპს — თქვა ბოლოს დონადონიმ — ვიმეორებ, ჩემი უწინდელი იდეები გლაზგოში ნანახის მიხედვით არ შეიცვლება. აუცილებლად უნდა ვიფრთხილოთ, რათა შოტლანდიელ თავდამსხმელებს სივრცე არ მივცეთ. კენი მილერი მათი გუნდის სისწრაფეა, კრის ბოიდი კი სიღრმე".

**პაპუნა ქედია**

# ყურადღება, ყურადღება!

## კოსტავას შეგონება ნაკრების დაცვას



**საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთი დასანანი მარცხი იწვნია, სქოთებმა ორი ბურთი გაგვიტანეს, ორივე შემთხვევაში მცველებს მართებდათ უკეთ გარჯა. მცველების და ზოგადად მატჩის შეფასება თბილისის „დინამოს" „ოქროს თაობის" მცველ თამაზ კოსტავას ვთხოვეთ**

— ჩვენებმა ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშეს. გაშვებული ბურთის შემდეგ მალე მოახერხეს გონზე მოსვლა და უპირატესობას დაეუფლნენ. არ მახსენდება, სტუმრად და ისეთი დონის გუნდთან, როგორც შოტლანდიაა, პირველ ტაიმში შვიდი კუთხური მოგვეწოდებინოს. საერთოდაც ბურთს ჩვენ ვაკონტროლებდით, რამაც მეტოქე მწყობრიდან გამოიყვანა.

მეორე ნახევარშიც რომ გაგვეგრძელებინა ბურთის კონტროლი, ალბათ არ წავაგებდით, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელს დაღლა დაეტყო, შეცვლაზე შესულები კი კარგად ვერ ჩაერთნენ თამაშში.

ტოპმიოლერს სწორედ დიდი არჩევანი არ აქვს. ფეხბურთელი ფიზიკურად კლუბში უნდა მოემზადოს და არა ნაკრებში. ნაკრების მწვრთნელს რამდენიმე დღე აქვს გუნდის მოსამზადებლად და რამდენი რამ მოასწროს?! ერთ წელიწადში გუნდი არ კეთდება. ამიტომ ფეხბურთის ფედერაციამ ტოპმიოლერს მომავალი ციკლიც უნდა მიანდოს.

ცოტა მეტი იღბალი რომ ყოფილიყო, არ წავაგებდით, თუმცა ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. შოტლანდიამ საფრანგეთიც დაამარცხა და შაბათსაც დაამტკიცა, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი აღარაა.

რაც შეეხება გაშვებულ გოლებს, მცველებს უფრო მეტი ყურადღება მართებდათ. ვერც ერთ შემთხვევაში ლომაია ვერ გვიშველიდა. გიორგიმ რამდენიმე ეპიზოდში აშკარა გოლს გადაგვარჩინა. მას აშკარად დაეტყო ახალ კლუბში თამაში. უფრო თავდაჯერებული გახდა. შოთა არველაძემ ერთხელაც დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი.

ქართულ ფეხბურთს ახლა სახელმწიფოს დახმარება სჭირდება, რათა წინ წაიწიოს. ბავშვთა ფეხბურთს და ეროვნულ ჩემპიონატს თუ არ მიეხედა, არაფერი გამოვა. სახელმწიფომ ფეხბურთში ფული უნდა ჩადოს და თავადაც უნდა აკონტროლოს სიტუაცია.

სწორედ სახელმწიფომ წამოწია თურქული ფეხბურთი, თორემ რა იყვნენ?! ჩვენ მათთან თამაშს არ ვკადრულობდით, ახლა კი...

დღეს საფეხბურთო სპორტსკოლების უმრავლესობა იმას კი არ ფიქრობს, ბავშვი აღზარდოს, არამედ რამდენი ექნება შემოსავალი. რაოდენობაზე კი არა, ხარისხზე უნდა ვიფიქროთ, თუ ქართული ფეხბურთის სიკეთე გვინდა. ვთქვათ, სკოლას ჰყავს ხუთასი ბავშვი, აქედან გარკვეული რაოდენობა უნიჭოა, მაგრამ სახლში რომ გაუშვან, შემოსავალი შეუმცირდებათ. არადა, ამით ის პერსპექტიული ბავშვები იჩაგრებიან, რადგან ყურადღება აკლდებათ.

**ნუკრი ლოლაძე**

# და ბოლოს იყო რატის რეტი

**გერმანულ** შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა მეორე ამხანაგური მატჩი გამართა — ჩვენების მეტოქე ლუქსემბურგული „ვიქტორია როსპორტი" იყო. შეხვედრა ქართველებმა 2:1 მოიგეს.

ლუქსემბურგელებმა მე-20 წუთზე გაიტანეს, საქართველომ კი 70-ე წუთზე კვასხაძის დარტყმით გაათანაბრა, ხოლო რვა წუთში სტუმრები ამერელმა რატი წინამძღვრიშვილმა დააწინაურა.



საქართველოს 19-წლამდელებმა გუშინ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: თევდორაძე, თომაშვილი (ფანცხავა 63), სანაია (გვაძაბია 46), ნიკოლაიშვილი, ბენაშვილი (მჭედლიშვილი 46), ბჟალავა (ხიდეშელი 46), ყენია, თოთაძე (კვასხაძე 60), გოცირიძე (ბლაგიძე 46), თარგამაძე, წინამძღვრიშვილი.

შეგახსენებთ: ორიოდ დღის წინ ჩვენმა 19-წლამდელებმა გერმანელ თანატოლებთან 0:2 წააგეს, ოთხშაბათს კი ლუქსემბურგელ თანატოლებს გაეჯიბრებიან.

**ლუკა თალაკვაძე**

# ამერი აზერ-ოლიმ-პიკზე

**აზერბაიჯანში** შეკრებაზე მყოფი „ამერი" თბილისში დღეს დილას დაბრუნდა, გუშინ კი გიორგი ჩიხრაძის გუნდმა მეორე ამხანაგური მატჩი ჩაატარა.

„ამერის" მეტოქე აზერბაიჯანის უმაღლესი ლიგის მეშვიდეადგილოსანი ბაქოს „ოლიმპიკი" იყო. პირველი ამხანაგური მატჩისგან განსხვავებით, რომელშიც ამერელებმა პირველლიგელ „სტანდარტს" შვიდი უპასუხო გოლი გაუტანეს, ეს მატჩი უგოლოდ დასრულდა.

თამაში სპორტის აკადემიის მოედანზე ჩატარდა, რომლის ხარისხიც გვარიანად მდარეა და ნორმალურ ფეხბურთს ამანაც შეუშალა ხელი. ბაქოში „ამერი" ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვარჯიშობდა და აკადემიის მინდორთან შეგუება გაუჭირდა. პირველ ტაიმში ერთადერთი გამოსარჩევი მომენტი სულიკო დავითაშვილის სახიფათო დარტყმა იყო.





შესვენების მერე ფეხბურთელებმა მოედანს ალღო აუღეს და თამაშიც უფრო საინტერესო გახდა. ქართველთაგან კარგი მომენტები კახა ვაჩეიშვილს, გრიგოლ დოლიძეს და დიმიტრი ტატანაშვილს ჰქონდათ. ერთ ეპიზოდში კი ლადო ნადირაშვილმა განმუხტა ვითარება „ამერის" კართან.

მომდევნო მატჩს „ამერი" 31 მარტს ჩატარებს, როდესაც საქართველოს ჩემპიონატის მე-18 ტურში ბორჯომს ესტუმრება. გუშინ კი გლდანელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ქვაჩახია (ნადირაშვილი 46), დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, კაკაშვილი (დიდავა 46), გაბისკირია (ბოლქვაძე 46), დობროვოლსკი (ფირანიშვილი 80), დოლიძე, სილაგავა (ვაჩეიშვილი 46), დავითაშვილი (სევასტოპულო 58), ტატანაშვილი.






31.03.2007 - მე-18-ე ტურის გათამაშების ცხრილი

ბორჯომი-ამერი
დილა-ტორპედო
დინამო (თბ) -სიონი
ბათუმი-კახეთი
ჩიხურა-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
ოლიმპი-მერანი
სამტრედია-ვიტ ჯორჯია 2
მალაროელი-მგლები
როტ ვაისი-მიუნხენ 1860
ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი


## სფფ: მე-18 ჩემპიონატის მომდევნო სამი ტურის მსაჯები

### XVIII ტური

**ბორჯომი — ამერი**
ა. კრიჭაშვილი; კ. ბუდურაშვილი,
ლ. თოდრია; ა. ნონიკაშვილი

**დილა — ტორპედო**
დ. ხანაია; დ. კურტანიძე,
ო. მოლოდინაშვილი; ზ. ახკაროლლი

**დინამო — სიონი**
დ. ხარიტონაშვილი; ლ. მიქელაძე,
ზ. ფიფია; ვ. ელისაბედაშვილი

**ბათუმი — კახეთი**
ლ. სილაგავა; გ. დოგრაშვილი,
მ. ურუშაძე; კ. ჭაჭუა

**ჩიხურა — ზესტაფონი**
მ. ბეუქლიშვილი; კ. გაბრიაძე,
კ. ბერაძე; ხ. გაგნიძე

**ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი**
ლ. კვარაცხელია; მ. ელიკაშვილი,
გ. ჩიგოგიძე; ვ. გუმბერიძე

**ოლიმპი — მერანი**
ო. ხეცაძე; ზ. ჯვარიძე,
ი. უკლება; ი. ურუშაძე

### XIX ტური

**ოლიმპი — ბორჯომი**
მ. ბეუქლიშვილი; ზ. ახკაროლლი,
შ. ქუხილავა; გ. ვადაჭკორია

**მერანი — ვიტ ჯორჯია**
დ. ხარიტონაშვილი; ა. კოკაია,
ი. კაკაბაძე; ლ. სილაგავა

**ლოკომოტივი — ჩიხურა**
ა. კრიჭაშვილი; ზ. ერქვანია,
გ. ყრუაშვილი; ო. ხეცაძე

**ზესტაფონი — ბათუმი**
ლ. კვარაცხელია; ნ. რუხიშვილი,
ი. მაჩიტიძე; გ. კიკაჩეიშვილი

**კახეთი — დინამო**
ა. ნონიკაშვილი; ს. სპიცინი,
დ. სანოძე; ვ. გუმბერიძე

**სიონი — დილა**
ჯ. ბუიშვილი; ზ. მენთეშაშვილი,
გ. ქიჭინაძე; ლ. ფანიაშვილი

**ტორპედო — ამერი**
მ. მაისურაძე; დ. კვეტენაძე,
ზ. ბერულავა; მ. ნაკაიძე

### XX ტური

**ბორჯომი — ტორპედო**
გ. ვადაჭკორია; ზ. ფიფია,
კ. ბერაძე; ლ. კვარაცხელია

**ამერი — სიონი**
გ. კიკაჩეიშვილი; მ. ელიკაშვილი,
ი. უკლება; დ.ხანაია

**დილა — კახეთი**
კ. ჭაჭუა; ზ. ჯვარიძე,
მ. ურუშაძე; ა. კრიჭაშვილი

**დინამო — ზესტაფონი**
ლ. ფანიაშვილი; გ. ჩიგოგიძე,
ლ. თოდრია; მ. ბეუქლიშვილი

**ბათუმი — ლოკომოტივი**
დ. ხარიტონაშვილი; კ. გაბრიაძე,
დ. კურტანიძე; ჯ. ბუიშვილი

**ჩიხურა — მერანი**
ლ. სილაგავა; დ. გოგოლაძე,
ო. მოლოდინაშვილი; პ. დოგრაშვილი

**ვიტ ჯორჯია — ოლიმპი**
მ. მაისურაძე; ლ. მიქელაძე,
გ. დოგრაშვილი; ვ. ელისაბედაშვილი

## საქართველოს ჩემპიონატი

### პირველი ლიგა

### II წრე, 23 ტური

მეშაძრე 1:0 გაგრა
გურია 1:2 ოლიმპი
ვიტ ჯორჯია 2 1:1 მეშახტე
სპარტაკი 1:2 მაღაროელი
სამტრედია 2:0 მგლები
ჩიხურა 2 1:1 დინამო 2
ამერი 2 1:0 მერცხალი
ზესტაფონი 2 — მესხეთი
გადაიდო
რაჭა — ნ. დინამოელი
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 22 | 17 | 2 | 3 | 38:12 | 53 |
| მესხეთი | 21 | 14 | 4 | 3 | 36:11 | 46 |
| ოლიმპი (თბ) | 23 | 12 | 4 | 7 | 44:24 | 40 |
| მეშაქრე | 22 | 11 | 7 | 4 | 29:19 | 40 |
| ამერი 2 | 23 | 10 | 8 | 5 | 34:26 | 38 |
| გაგრა | 23 | 11 | 2 | 10 | 31:28 | 35 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 23 | 10 | 5 | 7 | 36:21 | 35 |
| დინამო 2 | 23 | 8 | 7 | 8 | 43:24 | 31 |
| მაღაროელი | 22 | 8 | 7 | 7 | 30:26 | 31 |
| სამტრედია | 22 | 8 | 6 | 8 | 23:31 | 30 |
| ნ. დინამოელი | 21 | 9 | 2 | 10 | 30:31 | 29 |
| ზესტაფონი 2 | 21 | 7 | 7 | 7 | 21:17 | 28 |
| მეშახტე | 20 | 7 | 4 | 9 | 28:27 | 25 |
| ჩიხურა 2 | 22 | 6 | 4 | 11 | 21:37 | 22 |
| სპარტაკი | 23 | 6 | 3 | 14 | 13:33 | 21 |
| რაჭა | 20 | 5 | 6 | 9 | 21:32 | 21 |
| გურია | 22 | 5 | 3 | 14 | 23:51 | 18 |
| მერცხალი | 23 | 2 | 3 | 18 | 14:64 | 9 |

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ევროპის ერთა თასი. 24 მარტი. 15 საათი. თბილისი. ეროვნული

# საქართველო 31:12 რუსეთი

მე-9 გამარჯვება 11 თამაშში, ქულების შეფარდება 240-155, ლელოები 22-9, რალა თქმა უნდა, ქართველთა სასარგებლოდ!

სარაგბო მოედანი ხომ კარგა ხნის წინ იქცა იმ ადგილად, სადაც საქართველო აშკარად ჯობს რუსეთს. ჩვენ ორთა შორის გამარჯვებული ერთია, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები, რომლის უპირატესობა რუსებზე სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება — 27-ქულიანი გამარჯვება შარშან და 19 ქულით მოგება ახლა.

„ლელოების" „დათვებთან" რკენა ყოველთვის დამაინტრიგებელი, დაძაბული და ემოციებით გაჯერებული იქნება, მაგრამ ჩვენდა გასახარად სადღაც გაქრა ის შფოთვა, რომელიც მუდამ უძღვოდა ჩრდილოელი მეზობლების ჩამოსვლას. ქართველებს უკვე თვალში საცემი უპირატესობა აქვთ თვალებში შიშჩამდგარ რუსებთან, კომფორტით იგებენ, თუკი საერთოდ შეიძლება ამ სიტყვის ხმარება რაგბიში.

რუსებს, მგონი, აღარც სჯერათ, ქართველთა ძლევა საერთოდ თუა შესაძლებელი. 1996 წელს თბილისში პირველად რომ ჩამოვიდნენ და 20:29 წააგეს, მაშინ ისინი უარყოფით გრძნობასთან ერთად გაკვირვებულებიც იყვნენ, როგორ მოგვიგეთო. ახლა კი მთელი ამ ქართულ-რუსული ომის ყველა ბრძოლის ერთ-ერთი ცნობილი სახე ვიაჩესლავ გრაჩოვი მატჩის წინ მოკრძალებით ამბობდა, იმედია, კარგად ვითამაშებთო... მოკლედ, ალარავითარი პრეტენზია გამარჯვებაზე!

კი, კარგად ითამაშეს, ნორმალურად. კიდეც შემოგვიტიეს, მაგრამ განსაკუთრებული და აქამდე გაუკეთებელი არაფერი გაუკეთებიათ და შედეგიც ლოგიკური იყო.

სამართლიანობა მოითხოვს და ვთქვათ, რომ განსაკუთრებული რაგბი არც ქართველებს უჩვენებიათ. მით უფრო, რომ სრული საბრძოლო 15-ეულის ბარე ნახევარი აკლდათ. აქვე თხოვნა ჩვენს რაგბის კავშირს: სხვა დროს ასეთ პრინციპულ მეტოქესთან შეხვედრისთვის იქნებ მეტი პრინციპულობა გამოიჩინოთ და მეტ წამყვან მოთამაშეს მოუყაროთ თავი.

„ლელოებს" აკლდათ შერკინების მთელი პირველი ხაზი (შველიძე, ა. გიორგაძე, ზირაქიშვილი) და მეორე ხაზი (ზედგინიძე, გორგოძე). მადლობა ღმერთს და მათ შემცვლელ ბიჭებს, რომ შაბათს სწორედ რომ შერკინება იდგა მაგრად და აშკარადაც დაჩაგრა ზორბა რუსი „მუჟიკები". ჩვენს ხაზს კი პრობლემები ჰქონდა და ეს პირველივე წუთებიდან გამოჩნდა, როცა ძირითადად რუსულ კლუბ ვვა-ს მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა ხაზმა ბასრად შემოგვიტია და არაერთხელ გაჭრა ქართული დაცვის მწკრივი. ბედად, ჩვენმა მბოჭავებმა ალაგმეს მომხდურთა იერიშები და საქმე სალელოვედ არ გაიხადეს.

და მაინც, პირველ ტაიმში კარგა ხანს რუსები ფლობდნენ სათამაშო უპირატესობას და თითქოს რაღაც გამოსდიოდათ კიდეც. საჯარიმოთა გაცვლების შემდეგ ისინი 6:3 დაწინაურდნენ. ნერვები ყველაზე მეტად ტაიმის მიწურულს დაიჭიმა, როცა ფრანგმა მსაჯმა ფრენკ მასიელმა ასისტენტთან კარგა ხნის თათბირის შემდეგ რუსთა ნახევარზე აუტის მოსაწოდებლად გამზადებულ ქართველებს ცოტა გაუგებარი ჯარიმა გამოუწერა და 40 მეტრით (!) უკან დაახევინა. აქ რუსთა დამრტყმელმა იური კუშნარიოვმა მეოთხე ცდიდან მესამე დარტყმა გაიტანა და თავისი გუნდი 9:3 დააწინაურა.

მაგრამ „ლელოებმა" დროულად გაფანტეს ავდრის ღრუბელი და რუსებს თავისი ადგილი მიუჩინეს. რომ ნახეს, ბურთაობით ფონს ვერ გადიოდნენ, ისევ მამაპაპურად, ძალით გაიტანეს თავისი, მორკინალები ერთ მუშტად შეიკრნენ და ეს მუშტი აშკარად მუხლსუსტი მეტოქისკენ მიმართეს. მეტოქის ჩათვლის მოედანთან 10 მეტრში მოგებული აუტი, ერთი გემრიელი მიწოლა და გუნდური ლელო! ბურთი გიორგი ჩხაიძემ დაამიწა, კაპიტნად მოთამაშე პალიკო ჯიმშელაძე კი გარდასახა. საქართველო 10:9 დაწინაურდა და აღარც დაუთმია უპირატესობა.

ეს იყო გარდამტეხი და რუსთა გამტეხი ლელო. ქართველებმა საკუთარ ძალების ირწმუნეს. მეორე ხაზში კიდევ ერთი ბებერი ხარის, ვიქტორ დიდებულიძის მხარდამხარ მოთამაშე ვეტერანმა ზურა მჭედლიშვილმა რუსებს ორი აუტი მოუგო და პირველი ტაიმი ქართველთა შეტევებში გაილია.

მეორე ტაიმში „ლელოებმა" სრულიად დაჩაგრეს რუსები, რომლებიც მოედანზე კი იყვნენ, მაგრამ ერთი ჯარიმის მეტი არა გაუტანიათ რა, ერთთავად ქართველთა შეტევების მოგერიებაზე უწევდათ ზრუნვა. ვერც იგერიებდნენ — 47-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან ქართველთა ძალუმი მიწოლის შემდეგ მსაჯმა ისინი ტექნიკური ლელოთი დასაჯა.

15 წუთის შემდეგ რუსებს უკვე მარცხნიდან დაატყდათ ქართული ზვავი. ისინი ჯერ ზედ ხაზთან დაჯარიმდნენ იძულებით, შემდეგ ორჯერ შერკინება ჩააქციეს (მსაჯმა ამისთვის ალექსანდრ ხროკინი გაასინბინა), ბოლოს კი ქართველმა მორკინალებმა მაინც წალეკეს რუსი ფორვარდები და მესამე ძალისმიერი ლელო მჭედლიშვილს დაეწერა ანგარიშზე.

24:12 დაწინაურების შემდეგ ქართველებმა დაარღვიეს ერთფეროვნება და ხელდახელაც შეუტიეს მეტოქეს. ჩხაიძემ ქართულ ნახევარზე რუსული ხაზი გაჭრა და გაუტია, შუა გზაზე კი ბურთი ლაბაძეს გაატანა და მეოთხე ლელოც გამოცხვა. საბოლოოდ ოთხი 7-ქულიანი ლელო ოთხი რუსული საჯარიმოს წილ. ეს კი უკვე მეტოქის ჯობნა კი არა, დაჩაგვრაა. კაპიტანმა ჯიმშელაძემ კი ოთხივე გარდასახა, ზედაც საჯარიმო მიაყოლა, ანუ ხუთი დარტყმიდან ყველა გაიტანა.

დასასრულ ერთი კაცი ვახსენოთ, რომლის გარეშეც საქართველოს ნაკრები დღეს ვერ იქნებოდა ასეთი სტაბილური გუნდი — კლოდ სორელი, პირველი წარმატებული უცხოელი მწვრთნელი ქართულ სპორტში და „ბორჯღალის გუნდის" 2003 წლის მსოფლიოს თასზე გამყვანი კაცი. ფრანგი სპეციალისტი 2000-03 წლებში ედგა სათავეში ჩვენს ნაკრებს და, შეიძლება ითქვას, თავისი ეპოქა შექმნა ქართულ რაგბიში. სორელმა ჩვენს შემდეგ რამდენიმე გუნდი გამოიცვალა, ერთი კვირის წინ კი რუსეთის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში და საქართველოში ჩამოუძღვა. ვნახოთ, რა გუნდს დააყენებს ის რუსებისგან, გუშინწინ კი მისმა ძველმა შეგირდებმა ახლებს ულაპარაკოდ აჯობეს.

**ირაკლი ფირცხალავა ფირჯვილი**

## კლოდ სორელი კარგი მეღვინეა

### მისი ქართულად დაყენებული ბევრად სჯობს რუსულს

| საქართველო | რუსეთი |
| --- | --- |
| საქართველო: ჯიმშელაძე (კაპ), შკინინი, ურჯუკაშვილი, ი. გიორგაძე, ხამაშურიძე; კვირიკაშვილი, აბუსერიძე; უდესიანი, ლაბაძე, ჩხაიძე, დათუნაშვილი, მჭედლიშვილი, კოპალიანი, დადუნაშვილი, ხინჩაგაშვილი | რუსეთი: კლიუჩნიკოვი, კუზინი, ბელოუსოვი, გალინოვსკი, გვოზდოვსკი; ი. კუშნარიოვი, შაკიროვი; გრაჩოვი, პანასენკო, კ. კუშნარიოვი, გარბუზოვი, ფატახოვი, პრიშჩეპენკო, მარჩენკო (კაპ), ხროკინი |
| *შეცვლაზე შევიდნენ:* გასვიანი, დიდებულიძე, ი. მაისურაძე, სამხარაძე, დ. კაჭარავა, ელიზბარაშვილი | *შეცვლაზე შევიდნენ:* ნაუმენკო, პოპოვი, ოსტროუშკო, გრესევი |
| 4ლ: ჩხაიძე, ტექნიკური, მჭედლიშვილი, ლაბაძე | 4ს: ი. კუშნარიოვი; სინბინი: ხროკინი |
| 4გ: ჯიმშელაძე; 1ს: ჯიმშელაძე | |

მსაჯები: ფრენკ მასიელი, აკიმ ჰაჯ ბაშირი, ერიკ კამპენი (საფრანგეთი)



### მატჩის შემდეგ

*მალხაზ ჭეიშვილი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:* მატჩის დებიუტში მართლა გვეიჭირდა, მაგრამ საგანგაშო არაფერი იყო. ჩვენ დაახლოებით ვიცოდით, რა ტაქტიკას აირჩევდა რუსეთის ნაკრები, პირველი ათი-თხუთმეტი წუთი ვფრთხილობდით და ასე ვთქვათ, ვზვერავდით, რომ ბოლომდე გაგვეშიფრა მეტოქე. მერე კი ჩვენი თამაში ვითამაშეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ. პირიქით, რამდენიმე ეპიზოდში ისეთი შეცდომები დავუშვით, მართლა გადავრჩით, ამას რუსების ლელო რომ არ მოჰყვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძირითადი შემადგენლობის შვიდი მორაგბე გვაკლდა.

*კლოდ სორელი, რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:* სულით და გულით გილოცავთ ქართველებს ამ გამარჯვებას. ახლა უკვე დავრწმუნდი, რომ ჩემი მწვრთნელობის შემდეგ თქვენი ნაკრები ბევრად გაიზარდა. ქართველებმა იციან, გადამწყვეტ მომენტში რა და როგორ გააკეთონ. რაც შეეხება რუსეთის ნაკრებს, უფრო მეტს ველოდი, მაგრამ ხუთი დღე, რაც მთავარ მწვრთნელად დავინიშნე და ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდა ჩემი იდეების ბოლომდე გასატარებლად. მაინც ვიტყვი, რომ რუსეთის ნაკრებს დიდი პოტენციალი გააჩნია და იმის რეალიზებაში დღევანდელი მატჩიც დაგვეხმარება.

### სატურნირო ვითარება

| | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| რუმინეთი | 2 | 0 | 1 | +66 | 4 |
| საქართველო | 2 | 0 | 1 | +8 | 4 |
| რუსეთი | 1 | 0 | 1 | +6 | 2 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 0 | +3 | 2 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 3 | -50 | 2 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 1 | -33 | 1 |

### 2007 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპი

საპასუხო მატჩი

**ურუგვაი 18:12 პორტუგალია (5:12)**

## მსოფლიო პორტუგალიამაც დაინახა

პორტუგალიას პირველი მატჩი 12:5 ჰქონდა მოგებული და საპასუხო ჯახში ბეწვზე გადარჩა. ურუგვაის რვაქულიანი სხვაობით უნდა მოეგო. საამისოდ შინ, მონტევიდეოში ცდა არ დააკლო, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია.

პორტუგალიამ კბილებით დაიცვა ლისაბონში მოპოვებული უპირატესობა და წლევანდელ მსოფლიოს თასზე გავიდა. იქ კი ჯგუფში ახალ ზელანდიას, შოტლანდიას, იტალიასა და რუმინეთს მიაკითხავს.

## საქართველოს ჩემპიონატი

# წინასწარ გამოცხადებული ამბავი

## აზოტმა მაკაბი გაითვრამეტა

23 მარტი. რუსთავი

**აზოტი 109:66 მაკაბი**

*20:16 24:16 36:19 29:15*

აზოტი: გამყრელიძე (7), ბეჟანიშვილი (13), ბოისა (11), დიდია (11), ცაკვავა (9), ტუღუში (10), მარკოიშვილი (14), უგრეხელიძე (14), გოგობერიშვილი (7), ბერძენიშვილი (6), მინაშვილი (2), ჭოჭუა (5)
მაკაბი: დოლიძე (6), ხორავა (1), გ. შერმადინი (39), კორძაძე (4), კორკოტაძე (6), ს. შერმადინი (6), პირველაშვილი (4)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

25 მარტი. ვერის ბაღი

**ავიამშენი 112:87 სტუ**

*26:21 25:25 26:25 35:16*

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (11), ხოშტარია (14), ლოსაბერიძე (12), ბაბიაშვილი (31), ნინიაშვილი (5); ი. ბერიშვილი (15), ნიკოლაძე (12), კეიდია (5), სუხიშვილი (4), როდუმტა (3), მოსეშვილი
სტუ: კოხრეიძე (14), ბერაია (17), ბარბაქაძე (23), მაისურაძე (16), ახალკაცი (14); დევიძე (3), ეძგვერაძე
მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**თსუ 90:72 დინამო**

*26:21 23:13 18:19 23:19*

თსუ: ვეფხვაძე (5), ლეჟავა (8), ხეცურიანი (17), შანიძე (7), მათიაშვილი (14); იმნაძე (18), მარხვაშვილი (6), ფანჩულიძე (6), არწივიძე (5), ბ. ბერიშვილი, ტყეშელაშვილი (4)
დინამო: გულისაბედაშვილი (21), სიგუა (2), ლაფანაშვილი (10), ნ. ნოზაძე (12), გვიმრაძე (26); მურჯიკნელი (1), ბადრიძე, ფაიქრიძე, კოლუაშვილი
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ გელოვანი

**ᲙᲘᲓᲔᲕ** ერთი უინტერესო ტური გადაავორა სუპერლიგამ. გუნდები ისე იყვნენ დაწყვილებულნი, რომ გამარჯვებულთა გამოცნობა ორჯერ ორივით იყო. ცხრილის მოლიდერე სამეული აუტსაიდერებს ხვდებოდა და ინტრიგაც გამადიდებელი შუშით იყო საძებნი.

სენსაცია იქნებოდა, რომ ფავორიტებიდან რომელიმე დამარცხებულიყო, თუმც ასეთი რამ არ მომხდარა. ვისაც უნდა მოეგო, ყველამ იოლად გაიმარჯვა, თუმც ერთი-ორი სიტყვის თქმა სამივე მატჩზე ეგების და ჩვენც მივყვეთ...

ტური რუსთავში დაიწყო, სადაც შესაწირი ზვარაკივით ჩავიდა თბილისის „მაკაბი". „აზოტი" ჩემპიონატის უთუმცაო ლიდერია, შინ ნებისმიერ მეტოქესთან ფავორიტად ითვლება და ბეჩავი „მაკაბი" რომ ქვემოქართლელებს ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, ყველას კარგად მოეხსენებოდა.

მასპინძლებმა თამაში ლაღად კი დაიწყეს, მაგრამ პირველი ტაიმის შემდეგ მოკრძალებული ანგარიშით იგებდნენ — 44:32. აი, მესამე მეოთხედიდან კი რუსთაველებმა ყოველგვარი მორიდების გარეშე მიჰყვეს მაკაბელთა რბევას ხელი და 18:0 მოგებული ოთხწუთეულის შემდეგ თამაშს აზრი დაუკარგეს. ჯამლეტ ხუხაშვილმა ალბათ წინდაწინ იცოდა, რომ მისი გუნდი წააგებდა და ასეთ უიმედო მატჩებისას ის თავისი ჯილის, გიორგი შერმადინის სტატისტიკის გაუმჯობესებას ეშურება ხოლმე. გიო კარგი ბიჭია, სეზონის ქულათა რეკორდიც მას ეკუთვნის, მაგრამ რუსთავში მან ჩვეულად ვერ გაშალა ფრთები. შერმადინმა 39 ქულა კი ჩააგდო, მაგრამ ეს არ არის ის მონაგარი, რითაც ხუხაშვილი კმაყოფილი დარჩებოდა.

ერთი სიტყვით, „აზოტმა" თამაში სულ ღიღინით მოიგო და სუპერლიგის ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა

ტურის დანარჩენი ორი მატჩი გუშინ გაიმართა, რადგან შაბათს თბილისში რაგბი იყო და კალათბურთის ფედერაციაში გადაწყვიტეს, რომ ჩემპიონატის მატჩები რუსეთთან ჯახს არ უნდა დამთხვეოდა.

და რა მოხდა გუშინ? არც არაფერი. „ავიამშენი" ბეჩავ სტუ-ს ხვდებოდა, კიდევ ერთი თავმოყვარე გუდი, თსუ კი „დინამოს" და ორივე ფავორიტმა იოლი გამარჯვება მოიპოვა.

ვერ დავუკარგავთ მონდომებას ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის შეგირდებს, რომლებმაც მოქმედ ჩემპიონ „ავიამშენს" ნამდვილი ბრძოლა გაუმართეს და ბოლო მეოთხედამდე კუდში მისდევდნენ. განსაკუთრებით გამოსარჩევი კი ტექნიკოსთა სრულიად ახალგაზრდა დავით ბარბაქაძე გახლდათ, რომელმაც არაერთი მოხდენილად ჩაგდებული თუ ჩატენილი ბური აჩვენა ვერის ბაღის ხალვათ მაყურებელს.

სტუ ბოლო მეოთხედის წინ მხოლოდ 6 ქულას აგებდა მრისხანე მეტოქესთან და ჩერქეზიშვილსაც იმედი ჰქონდა, რომ მისი შეგირდები ბოლომდე გაუძალიანდებოდნენ „ავიატორებს", მაგრამ არ გამოვიდა. გადამწყვეტ მეოთხედში ლევან მოსეშვილის შეგირდებმა მთელი სერიოზულობით მოჰკიდეს საქმეს ხელი და ტექნიკოსები დიდი სხვაობით დაამარცხეს.



დინამოელი დავით გვიმრაძე (შუაში) თსუ-ელებმა შეავიწროეს

ტურის ბოლო და ცენტრალურად შერაცხული მატჩი კი ვერ გამოდგა საამოდ საცქერი. თსუ-მ „დინამო" თავიდანვე შორს მოიტოვა და გამარჯვებამდეც ზედმეტი გართულების გარეშე მივიდა.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 18 | 17 | 1 | +456 | 35 |
| ავიამშენი | 18 | 14 | 4 | +245 | 32 |
| თსუ | 18 | 13 | 5 | +215 | 31 |
| დინამო | 18 | 5 | 13 | -255 | 23 |
| სტუ | 18 | 3 | 15 | -359 | 21 |
| მაკაბი | 18 | 3 | 15 | -336 | 21 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

23 მარტი

**ატლანტა 100:102 პორტლენდი**

*ძირითადი დრო 85:85*

ატლანტა: ჯონსონი (7 ქულა, 10 პასი), ჩილდერსი (22 ქულა, 12 მოხსნა), ფაჩულია (11 ქულა, 5 მოხსნა 1 პასი, 1 ჩაჭრა), სმიტი (17 ქულა, 11 მოხსნა), მ. ვილიამსი (2); ლუ (2), სტაუდმაიერი (3), ჯოსნი, ივი (2), შ. უილიამსი
პორტლენდი: ჯეკი (18), როკი (23), მაგლორე (9 ქულა, 11 მოხსნა), ოლდრიჯი (27 ქულა, 14 მოხსნა), უდოკა (2); აუთლო (6), როდრიგესი, ვებსტერი (8), ჯონსი (2), დიკაუ (7)

**ტორონტო 121:94 დენვერი**

ტორონტო: პეტერსონი (23), გარბახოსა (22), ფორდი (14 ქულა, 14 პასი)
დენვერი: სმიტი (20), კლეიზა (20)

**ფილადელფია 106:97 შარლოტი**

ფილადელფია: მილერი (19), გრინი (19)
შარლოტი: უოლესი (21), ერმანი (17)

**ბოსტონი 95:109 დალასი**

ბოსტონი: პირსი (30), გრინი (19)
დალასი: ტერი (29), ნოვიცკი (20), ჰოვარდი (19 ქულა, 11 მოხსნა), ჰარისი (18)

**კლივლენდი 90:68 ნიუ იორკი**

კლივლენდი: ჯეიმსი (21 ქულა, 10 პასი), ილგაუსკასი (16), ჰიუზი (16)
ნიუ იორკი: კერი (27)

**ნიუ ორლეანი 105:111 ლეიკერსი**

ნიუ ორლეანი: პოლი (28 ქულა, 12 პასი), ჩენდლერი (22 ქულა, 22 მოხსნა)
ლეიკერსი: ბრაიანტი (50), ოდომი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**სან ანტონიო 90:89 დეტროიტი**

სან ანტონიო: პარკერი (22), დანკანი (17 ქულა, 14 მოხსნა)
დეტროიტი: ვოლესი (21), მაკდაესი (18 ქულა, 11 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 135:128 ვაშინგტონი**

გოლდენ სტეიტი: დევისი (34 ქულა, 15 პასი, 9 მოხსნა), ბედრინში (24 ქულა, 12 მოხსნა), ელისი (24), რიჩარდსონი (23)
ვაშინგტონი: არენასი (29 ქულა, 13 პასი), ჯეიმსონი (20 ქულა, 11 მოხსნა), სონგაილა (17)

**კლიპერსი 104:72 იუტა**

კლიპერსი: ბრენდი (20 ქულა, 11 მოხსნა), მეტგეტი (19), კამანი (10 ქულა, 14 მოხსნა)
იუტა: ბუზერი (13), კირილენკო (12)

**სიეტლი 85:82 მინესოტა**

სიეტლი: ლიუვისი (22), ვილკოქსი (16 ქულა, 12 მოხსნა)
მინესოტა: სმიტი (19), გარნეტი (10 ქულა, 22 მოხსნა)

**ორლანდო 90:82 ნიუ ჯერსი**

ორლანდო: ნელსონი (22), ჰოვარდი (10 ქულა, 16 მოხსნა),
ნიუ ჯერსი: კარტერი (27), ჯეფერსონი (19), კიდი (8 ქულა, 8 მოხსნა, 9 პასი)

**ინდიანა 95:70 მაიამი**

ინდიანა: გრეინჯერი (22), დანლივი (20), ჯ. ონილი (15 ქულა, 14 მოხსნა)
მაიამი: შ. ონილი (13)

24 მარტი

**შარლოტი 107:113 ნიუ ჯერსი**

*ძირითადი დრო 96:96*

შარლოტი: კეროლი (27), ჰერმანი (20), ნაითი (15)
ნიუ ჯერსი: კარტერი (40), ბუნი (21), ჯეფერსონი (16), კიდი (5 ქულა, 15 პასი, 10 მოხსნა)

**მაიამი 85:93 ფილადელფია**

მაიამი: ვილიამსი (21), ონილი (18), ჰესლემი (11 ქულა, 14 მოხსნა)
ფილადელფია: იგუდალა (19), კორვერი (17), სმიტი (12 ქულა, 13 მოხსნა)

**იუტა 118:108 მემფისი**

იუტა: ბუზერი (28 ქულა, 15 მოხსნა), ჰარპრინგი (24), უილიამსი (21 ქულა, 13 პასი)
მემფისი: ჯონსი (21), გასოლი (25 ქულა, 10 მოხსნა), კინსი (20)

**კლიპერსი 111:105 ვაშინგტონი**

კლიპერსი: მეტგეტი (29), ბრენდი (18 ქულა, 14 მოხსნა), კამანი (17)
ვაშინგტონი: არენასი (30), ჯემისონი (23 ქულა, 10 მოხსნა)

# კობი: ჯერ 4/50

## ბრაიანტი ჩემბერლენის კვალზე



AFP ნიუ ორლეანიდან

**ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ** გულშემატკივრების თვალწინ ზედიზედ ხუთი თამაშის მოგების შემდეგ ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსმა" შინ მთელი მეორედ წააგო — პორტლენდთან" ბრძოლა ოვერტაიმში დათმო. თავად ფაჩულიას ურიგოდ არ უთამაშია, 32 წუთში 11 ქულა და 5 მოხსნა მოუგროვდა, მაგრამ ზაზამ მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე 2 წამით ადრე ნახტომში ნასროლი აცილა და თავისდა უნებურად „ატლანტა" ოვერტაიმში წაგებას ვერ აარიდა.

და ზაზას მიერ კიდევ ერთი აცილებული ბურთის თაობაზე: მან ოვერტაიმში ორი საჯარიმოდან ერთი გააცუდა და ეს იყო ატლანტელთა მხრიდან ერთადერთი ვერჩაგდებული საჯარიმო. დანარჩენი 18 ტყორცნიდან „ქორებმა" ყველა ჩააგდეს.

უქმეების მთავარი მოვლენა კი „ნიუ ორლეანისა" და „ლეიკერსის" შეხვედრაში მოხდა. „ლეიკერსის" ბომბდამშენმა კობი ბრაიანტმა განაგრძო თავისი ზღაპრული მატჩების სერია და 50 ქულა ჩააგდო. ეს იყო მისი ზედიზედ მეოთხე 50 და მეტქულიანი მატჩი. ნბა-ს ისტორიაში მხოლოდ უილტ ჩემბერლენს გაუკეთებია ასეთი რამ. აწ განსვენებულმა ჩემბერლენმა 1962 წელს ერთმანეთის ზედიზედ 7 50-ქულიანი თამაში მიაყოლა.

7 თამაში ძალიან ბევრია და კობი იქამდე ალბათ ვერ მივა, მაგრამ 4 ასეთი თამაშიც საქმეა, მით უფრო, რომ „ლეიკერსმა" ოთხივე მოიგო.

**ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲨᲘᲐ**

## მსოფლიოს ჩემპიონატი
### ტოკიო. იაპონია. 19-25 მარტი

# მოთმინება, თავადო, მოთმინება



AFP

**ტოკიოში** დასრულებულ ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენმა ელენე გედევანიშვილმა მე-17 ადგილი დაიკავა, რაც სამი ადგილით უარესია, ვიდრე შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო და ტურინის ოლიმპიადაზე ნაჩვენებ შედეგს კი შვიდით ჩამორჩება.

მეორეს მხრივ, ტოკიოში ელენემ მოკლე და თავისუფალი პროგრამების ჯამში 144,40 ქულა დააგროვა და ეს შედეგი სულ მცირედით — 0,2 ქულით — მაგრამ მაინც აღემატება ერთი წლის წინანდელ მსოფლიოს პირველობაზე ქართველის მიერ დაგროვილ ქულებს და გაცილებით, მთელი 7 ქულით ჯობს წლეულს, ევროპის პირველობაზე ნაჩვენებ შედეგს.

თუ მარტო ევროპელ მოციგურავეებს ავიღებთ, გედევანიშვილი მეცხრე იყო და წლევანდელ ევროპის პირველობაზე კი მერვე ადგილი დაიკავა. ასე რომ, საგანგაშო არაფერია, მით უმეტეს, რომ ყველამ კარგად ვიცით, თუ რა მოვლენები უძღოდა წინ ნორჩი ქართველის საამსეზონო სამზადისს. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ამას სამზადისი არც ერქვა — ელენეს მთელი წინასასეზონო პერიოდი ჩაუვარდა, გრანპრის ტურნირებში მონაწილეობა ვერ მიიღო და მისთვის წლეულს პირველი სტარტი ევროპის ჩემპიონატი იყო.

გედევანიშვილმა სრულფასოვანი ვარჯიში სწორედ ევროჩემპიონატის შემდეგ დაიწყო და როგორც ვხედავთ, მსოფლიოს პირველობაზე წარმატებით გამოსვლისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

თუ მხოლოდ დაკავებულ ადგილებს გავითვალისწინებთ, თითქოს გედევანიშვილის რეგრესი აშკარაა, მაგრამ დაგროვილ ქულებში ეს ნაკლებად ჩანს. უბრალოდ, ქალთა ციგურაობაში არნახულად გაიზარდა კონკურენცია და ერთი შეცდომის ფასი ძალზე დიდია. რომ არა ელენეს მიერ, როგორც მოკლე, ისე თავისუფალ პროგრამებში დაშვებული დასანანი შეცდომები, ქართველის ქულათა ჯამი, სადღაც 160-165 ქულის ფარგლებში იქნებოდა და ეს კი მეშვიდე-მერვე ადგილებს შეესაბამება.

ეს შეცდომები კი, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, უფრო, ფაქტობრივად ჩაგდებული წინასასეზონო ციკლის, არასრულფასოვანი მომზადების ბრალი უნდა იყოს, თორემ გედევანიშვილს ნიჭი ნამდვილად არ აკლია და იმედია, უკვე გასად, ეს ნიჭი შედეგშიც აისახება.

აქედან გამომდინარე, ელენეზე ხელის ჩაქნევა, ნამდვილად არ ეგების. თუნდაც ერთწლიანი მოთმინება უნდა ვიქონიოთ და სახელმწიფომ გედევანიშვილისთვის ხელის შეწყობა ისევე უნდა განაგრძოს, როგორც აქამდე აკეთებდა.

**გია მუჯირი**

# აზიური ტალღა და რუსთა კრახი



AFP ტოკიოდან

მაო ასადა, მიკი ანდო და იუ ნა კიმი

ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ისე დასრულდა, რომ ათწლეულების განმავლობაში სპორტის ამ სახეობაში მოდის უპირველესმა კანონმდებლებმა ოქროს ვინ ჩივის, ერთი კინკილა ბრინჯაოც კი ვერ მოიპოვეს — რუსულმა საციგურაო დერჟავამ სრული კრახი განიცადა.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული, როდესაც ყინულზე ლუდმილა ბელოუსოვასა და ოლეგ პროტოპოპოვის ლეგენდარული წყვილი გამოჩნდა, რუსებმა ხელთ იგდეს მოციგურავეთა სეფედროში და მთელი 40 წელი დომინირებდნენ. ეგ კი არა, ჯერ კიდევ შარშან, ტურინის ოლიმპიადაზე, რუსებს ოთხივე ოქროზე ჰქონდათ პრეტენზია და სამს რომ დასჯერდნენ, ფრიად უკმაყოფილონი დარჩნენ.

მთელი ათწლეულები ასე იყო, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი დასასრული და აი, რუს მოციგურავეთა ჰეგემონიასაც დაესვა დიდი, როგორც თავად იტყვიან, ცხიმიანი წერტილი.

ტოკიოს ფიასკო ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს კარგა ხანს მოელანდებათ ღამეულ კოშმარებში, თუმცა ეს ჩვენი სადარდებელი ნამდვილად არ არის. ფიგურული ციგურაობის ვექტორი კი თანდათან აზიისკენ იხრება — ჩინელი, იაპონელი, კორეელი მოციგურავეების შემოტევებს ევროპელები და ჩრდილოამერიკელები უკვე ძნელად უმკლავდებიან.

ტოკიოს პირველობა სპორტულ წყვილებში ჩინელთა ოქრო-ვერცხლით დაიწყო და ქალებში იაპონური დუბლით დასრულდა — მიკი ანდომ და მაო ასადამ შორს ჩამოიტოვეს კონკურენტები და ერთმანეთში გაარკვიეს უძლიერესის ვინაობა.

თავისუფალი პროგრამა ასადამ მოიგო, მაგრამ ორეტაპა შეჯიბრის მოკლე ნაწილში დაკარგული მაინც ველარ აინაზღაურა — ჯამში თანამამულეს 0,64 ქულით ჩამორჩა. მოკლე პროგრამის მომგები კორეელი იუ ნა კიმი თავისუფალი სრიალისას ორჯერ დაეცა და იაპონელებს შორის ჩამორჩა, თუმცა ბრინჯაო მაინც აღარავის დაანება და შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი, ამერიკელი კიმი მაისნერი მეოთხე ადგილზე დატოვა. ევროპელთაგან საუკეთესო, ბებერი კონტინენტის წლევანდელი ჩემპიონი იტალიელი კაროლინა კოსტნერი მხოლოდ მეექვსე იყო.

**ქალები**

| | |
|---|---|
| 1. მიკი ანდო (იაპონია) | 195,09 ქულა |
| 2. მაო ასადა (იაპონია) | 194,45 |
| 3. იუ ნა კიმი (კორეა) | 186,14 |
| 4. კიმი მაისნერი (აშშ) | 180,23 |
| 5. იუკარი ნაკანო (იაპონია) | 168,92 |
| 17. ელენე გედევანიშვილი (საქართველო) | 144,40 |

**ქვეყნები და მედლები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იაპონია | 1 | 2 | — | 3 |
| ჩინეთი | 1 | 1 | — | 2 |
| საფრანგეთი | 1 | — | — | 1 |
| ბულგარეთი | 1 | — | — | 1 |
| კანადა | — | 1 | — | 1 |
| გერმანია | — | — | 1 | 1 |
| შვეიცარია | — | — | 1 | 1 |
| აშშ | — | — | 1 | 1 |
| კორეა | — | — | 1 | 1 |



## საქართველოს ჩემპიონატი
### მესამე ეტაპი. 25 მარტი. „რუსთავრინგი"



# თავართქილაძე ისევ თავშია

**გუშინ** რუსთავში უძლიერესი ქარის თანხლებით ჩატარდა სეზონში პირველი წრიული რბოლა, რომელიც ამავდროულად, საქართველოს ავტომრბოლთა წლევანდელი ჩემპიონატის მესამე ეტაპი იყო. ორგანიზატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქარის გამო შეჯიბრება არ შეფერხებულა. მით უმეტეს, რომ საუკეთესო ეროვნულ პილოტთა ბრძოლის საცქერლად „რუსთავრინგზე" უამრავი გულშემატკივარი შეიკრიბა.

საწყენია, რომ ტექნიკური პრობლემების გამო საპირველადგილო ბრძოლაში მხოლოდ 11 მრბოლი ჩაება. მონაწილეებს ოთხკილომეტრიანი წრე ორ გასვლაზე, ექვსექვსჯერ უნდა დაეძლიათ.

ბუნებრივია, ფავორიტად ითვლებოდა მანამდელი ორივე საკუსტბო ეტაპის მომგები ოთარ თავართქილაძე. მის „ჰონდა CRX"-ს არც პირველ, და მით უმეტეს, არც მეორე გასვლაზე პრობლემები არ გასჩენია.

ერთი სიტყვით, თავართქილაძემ მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, მეორე იყო „სიტროენის" მევლუდ მელაძე, ხოლო მესამე — ასევე „ჰონდას" ვეტერანი პილოტი დავით წიკლაური.

რაც შეეხება აბსოლუტურ ჩათვლას, მაქსიმალური 60 ქულით სადღეისოდ თავართქილაძე ლიდერობს.

სასიამოვნოა, რომ ავტოფედერაციამ მოაწყო სარეკლამო სანახაობაც. კერძოდ, ერთმანეთს გაეჯიბრნენ უკრაინული წარმოების სამაღგილიანი სპორტული თვითმფრინავი „ბეკას" და ჩვენი მრბოლი გიორგი ფირცხალაიშვილი. სარეკლამო ჯახში ფირცხალაიშვილის „ოპელ კალიბრამ" ხარკოველ მფრინავს დამაჯერებლად აჯობა.

კიდევ იყო საუკეთესო კარტინგისტთა გაჯიბრება, რომელშიც 15 წლის დიმიტრი ქობულიამ „სუძუკით" დამაჯერებლად მოუგო დავით მენთეშაშვილს.

**გია ახალაძე**



# საქა-რთველომ გეორ-გიას აჯობა

**პლაჟის** ფრენბურთში დასრულდა „ბანკო დე ბრაზილიის" პირველი ეტაპი, სადაც ჩვენმა კაცთა წყვილმა, რენატომ და ჟორჟამ, იგივე გეორ და გიამ, მე-9 ადგილი დაიკავეს.

ქართულპასპორტიანმა ბრაზილიელებმა თავიდან სენსაციით დაიწყეს. საკვალიფიკაციო ეტაპზე მიჯრით ორი მატჩი მოიგეს და ძირითად ბადეში მოხვედრილებმა კი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები, ბრაზილიელები, რიკარდო და ემანუელი მიანგრიეს. ამის შემდეგ ჩვენებს ერთი წაგების უფლება ჰქონდათ, რაც ძირითადი ბადის მეორე ტურში გაანიავეს და მესამე ტურში მოგების შემდეგ მეოთხედფინალში კვლავ წააგეს. საბოლოოდ ჩვენმა წყვილმა მეცხრე-მეთერთმეტე ადგილი გაიყო.

უკეთ ითამაშეს საქართველოს სახელით მოთამაშე ბრაზილიელმა ქალებმა. საქამ და რთველომ საკვალიფიკაციო ეტაპზე ორივე მატჩი მოიგეს და ძირითად ბადეში ორი მარცხის წილ ორი მოგებით მე-8 ადგილი დაიკავეს.

**ბაჩო სვანიძე**





გეორმა და გიამ რიოში ოლიმპიურ ჩემპიონებს მოუგეს

## ჭიდაობა

# ქართველები გაციმბირდნენ

**24-25 მარტს** კრასნოიარსკში საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა მსოფლიოს თასზე იჭიდავა. ზაზა თურმანიძის გუნდი რუსეთში მთავარი მწვრთნელის გარეშე და ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობით ჩავიდა და ექვს მონაწილეს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა.

ორდღიანი ტურნირის პირველ დღეს ჯგუფური შეხვედრები ჩატარდა. ორგანიზატორებმა ორი ჯგუფი შეადგინეს. პირველში საქართველო, რუსეთი და უკრაინა მოხვდნენ, ხოლო მეორეში — ირანი, აშშ და უზბეკეთი. ჩვენებურებმა ჩემპიონობის შანსი თავიდანვე დაკარგეს მასპინძლებთან მარცხით, თან ისე, რომ პრესტიჟის ქულაც ვერ აიღეს. რუსებმა უკრაინელებიც 7:0 დაამარცხეს და საქართველო-უკრაინის ბრძოლამ ჯგუფის მეორეადგილოსნის ბედი გადაწყვიტა.

„ჯერჯერობით ინტერნეტიდან მიღებული ინფორმაციის გარდა არაფერი ვიცი. მხოლოდ ის შევიტყვე, რომ უკრაინასთან 1:3-ს ვაგებდით და ზედიზედ სამი შეხვედრა მოვიგეთ" — გვითხრა გუშინ თურმანიძემ.

მესამე ადგილისთვის ქართველები უზბეკებს დაეჭიდნენ და იქაც ბოლო შეხვედრამ გამოავლინა გამარჯვებული. მძიმეწონოსნების რკინა უზბეკის სასარგებლოდ დასრულდა. ფინალში კი რუსეთმა ირანს 5:2 მოუგო.

ბოლოს კი საქართველოს ნაკრების კრასნოიარსკული შემადგენლობა: 55 კგ — გოჩა კირკიტაძე, 60 კგ — ლევან ჩაბრაძე, 66 კგ — ოთარ თუშიშვილი, 74 კგ — დავით ახალმოსულიშვილი, 84 კგ — რევაზ მინდორაშვილი, 96 კგ — ლუკა კურტანიძე, 120 კგ — დავით მოძმანაშვილი.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## სუმო

# კოკაი ათით დაკმაყოფილდა

## მონღოლური პალიტრა: თეთრმა ცისფერი დაჩრდილა

**სეზონის** მეორე დიდი ბაშო ქართველმა კოკაიმ პირადი რეკორდის გამეორებით, ათი ქულით დაასრულა. ლევან ცაგურიამ მეათე გამარჯვება შაბათს, ბოლოსწინა ტურში მოიპოვა 21 წლის მონღოლ კაკურიუსთან. კვირას ზედ სეკივაკე ვაკანოსატოც რომ მიეყოლებინა, აქამდე მიუწვდომელ შედეგს აჩვენებდა, მაგრამ სასტარტო უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და კონტროლეთზე წამოეგო.

ხუთქულიანი დადებითი ბალანსი ჩვენებურს მაისის ბაშოსთვის ალბათ გვარიანად დააწინაურებს რეიტინგში. ამჟამად კოკაი აღმოსავლეთის მეშვიდე მაეგაშირაა. რომელ ნომრამდე აიწევს, მალე გაირკვევა.

იმპერატორის თასის ბედი კი სუპერფინალში გადაწყდა. დამატებით შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ ორი ცამეტქულიანი მონღოლი დადგა — „ცისფერი დრაკონი", იოკოძუნა ასასიორიუ და „თეთრი ფენიქსი" ოძეკი ხაკუხო. ეს ორი დევი ერთმანეთს შაბათსაც დაეჭიდა და ასასიორიუმ იმარჯვა, რითაც ლიდერს წამოეწია.

ხაკუხომ კვირას ჩემპიონობის მომტანი რევანში აიღო და თასი კარიერაში მეორედ მოიპოვა.

ბაშოს ორგანიზატორებმა სპეციალური პრიზებიც დაარიგეს. მაკუტის დებიუტანტი, 20 წლის ტოჩიოძანი მებრძოლი სულის გამოვლენისთვის სპეციალური პრემიით, კანტოსიოთი დაასაჩუქრეს. ცნობისთვის, ტოჩიოძანმა კოკაისავით ათი ქულით დაასრულა ოსაკური ჭიდაობა. ტექნიკური ოსტატობისთვის კი პრემია გინოსიო უკვე მეორედ მიიღო ხომასიომ.

უმაღლეს დივიზიონს გამოემშვიდობა ესტონელი ბალტი, რომელსაც ტურნირი მუხლის ტრავმის გამო გაუცდა. ბალტის ადგილს მაისის ბაშოზე მეორე დივიზიონში გაჩემპიონებული უმსუბუქესი სეკიტორი, 117-კილოგრამიანი სატოიამა დაიკავებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



AFP ოსაკადან

ხაკუხომ იმპერატორის თასი მეორედ აწია

## ცურვა

## მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში

### მელბურნი. ავსტრალია. 17 მარტი – 1 აპრილი



AFP მელბურნიდან

# ვინ დათვალოს ლიბის ოქრო და მანადუს ვარსკვლავები

**მელბურნში** საწყლოსნო სახეობათა ჩემპიონატზე გამოსვლა დაასრულეს წყალში მხტომელებმა, სინქრონულად მოცურავეებმა და გაშლილი წყლის „ზვიგენებმა". ამ სახეობებში დიდი სენსაციები არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ერთი-ორ შედარებით ნაკლებხმაურიან მოულოდნელობებს — მაგალითად, წყალში მხტომელებში აბსოლუტურად ყველა დისციპლინაში ჩინელებმა იყოჩაღეს და მხოლოდ ერთ დისციპლინაში, 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში არ შეხვდათ მათ უმაღლესი ინჯის მედალი — კაცთა კოშკი რუსმა გალპერინმა დაიპყრო, მას შემდეგ, რაც ორი ჩინელი დატოვა ვერცხლისა და ბრინჯაოს ამარა.

წყალში ხტომა კარგა ხანია ჩინელებისაა, აქ ისინი თავს ისე გრძნობენ, როგორც ზვიგენი მშვიდობიან ლაგუნაში. სამაგიეროდ, სინქრონული ცურვაა რუსი ქალების და ამათაც, სხვათა შორის, ზუსტად იგივე „შეემთხვათ", რაც ჩინელებს — ყველა ოქრო მათ დარჩათ ერთის გარდა — ერთეულებში ტექნიკური გამოსვლა ფრანგმა მიშელ ბეტიემ მოიგო.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი მთელი თავისი ბრწყინვალებით სწორედ ახლა აჩქევფდება ლამაზ შადრევნად — აუზში ჩადიან მოცურავეები. აბა, ახლა ადგაფუნდება აუზი. გუშინ უკვე გაიმართა ოთხი დისციპლინის ფინალი და მელბურნის ცურვის მოყვარულთა საზოგადოების გასახარად, ავსტრალიურმა ნაკრებმა პირველი ოქროც მოიპოვა, თანაც უდაძაბულეს ბრძოლაში. ქალთა შორის 4X100 მეტრზე ესტაფეტა ტურნირის ნამდვილი მშვენება იყო და იმის ნიშანიც, რომ ჩემპიონატი მართლა ახლა იწყება.

100 მეტრ თავისუფალ ცურვაში მსოფლიოს ავსტრალიელმა რეკორდსმენმა ლიბი ლენტონმა უმძლავრესად დაიწყო და თავისი წილი 100 მეტრი ისე გაცურა, რომ მსოფლიოს ყველა დროის მეორე შედეგი აჩვენა (ძირძველიც ხომ მისია). მან გვარიანად ჩამოიტოვა ამერიკელი ნატალი კულინი და მეორე მოესტაფეტეს გვარიანი უპირატესობა გადასცა. მაგრამ მეორე და მესამე ნომრებმა ამერიკელ ოპონენტ ქალებთან „მოახერხეს" და ეს უპირატესობაც გაფლანგეს და ზედაც მთელი კორპუსით ჩამორჩნენ. მაგრამ ბოლო ქალად ოზ დაცთა გუნდს საიმედო მოცურავე ჰყავდა. მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა 100 მეტრში ჯოდი ჰენრიმ მართლაც დელფინივით იცურავა, ამერიკელ კარა დინ ჯოისს ჩამორჩენაც დაუფარა და წამის მეხუთედიდაც მიასწრო ფინიშთან.

და სად იყვნენ ამ დროს ევროპის ჩემპიონი გერმანელი ქალები? ცხადია, აუზში, მაგრამ ოზების და იანკების გახურებული შეჯიბრის შემხედვარე ისინი ყველას მიავიწყდა. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ გერმანელმა ფროილაინებმა ჰოლანდიელებსაც ვერ აჯობეს და სულ უიმედოდ დარჩნენ.

მგზნებარე ავსტრალიული პუბლიკის გულდასაწყვეტად კაცმა მოესტაფეტეებმა არათუ ვერ გაიმეორეს ყოჩაღ თანამემამულე ქალთა შედეგი, არამედ მეხუთე ადგილზე გავიდნენ და ბრინჯაოც კი არ შეხვდათ. ისე, ეს არცაა გასაკვირი, მათ ხომ აღარ ჰყავთ იან ტორპი და გრანტ ჰეკეტიც დაუბერდათ.

ჰეკეტი მაინც შესწვდა მედალს, 400 თავისუფალ მეტრზე რუს იური პრილუკოვთან უდაძაბულეს ბრძოლაში ბრინჯაოს მედალი გამოიმუშავა. რა თქმა უნდა, ეს შედეგი ცაში ვერ აიყვანს მას, მაგრამ ვეტერანი ვარსკვლავისთვის ესეც საქმეა. ოქრო-ვერცხლი კი ცოტა არ იყოს, ცურვაში ნაკლებგანთქმული ერების — კორეისა და ტუნისის წარმომადგენლებმა გაიყვეს.

ქალთა 400 მეტრში, რა გასაკვირია და, ყველა უკან ჩამოიტოვა მშვენიერმა და მომხიბლავმა ფრანგმა ქალთევზამ ლორ მანადუმ, ვისთვისაც ეს მედალი მელბურნში პირველია და ნამდვილად არ იქნება უკანასკნელი.

**კოტე ყორშია**



# ოტილიას ძველი ტკივილი

**ცუდი ამბავი** შეემთხვა ოლიმპიურ ჩემპიონ ოტილია იედრჟეშჩაკს. პოლონელი მოცურავე ავტოავარიაში მოჰყვა, რის შედეგადაც თავად მსუბუქად დაშავდა, მაგრამ დაიღუპა მისი 19 წლის ძმა.

ეს ამბავი 2005 წელს მოხდა, ახლა კი სასამართლო პროცესი დამთავრდა და ოტილიას სასჯელი ასეთია — ძმის უნებლიე მკვლელს 9-თვიანი პირობითი პატიმრობა მიესაჯა და ამ ხნის განმავლობაში ყოველთვიურად 30-საათიანი საზოგადოებრივი სამუშაოები უნდა შეასრულოს.

ამჟამად კი ოტილია ავსტრალიაში გახლავთ და ქალთა 400-მეტრიან გაცურვაში ვერცხლის მედალიც მოიგო. სასჯელის აღსრულებას ის სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეუდგება.

### ცურვა

**კაცები. 400 მ თავისუფალი**

1. ტაე ჰვან პარკი (კორეა) 3.44,30; 2. უსამა მელული (ტუნისი) 3.45,12; 3. გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია) 3.45,43

**კაცები. 4X100 მ თავისუფალი**

1. აშშ 3.12,72; 2. იტალია 3.14,04; 3. საფრანგეთი 3.14,68

**ქალები. 400 მ თავისუფალი**

1. ლორე მანადუ (საფრანგეთი) 4.02,61; 2. ოტილია იდრჟეშჩაკი (პოლონეთი) 4.04,23; 3. აი შიბატა (იაპონია) 4.04,23

**ქალები. 4X100 მ თავისუფალი**

1. ავსტრალია 3.35,48; 2. აშშ 3.35,68; 3. ჰოლანდია 3.36,81

### წყალში ხტომა

**კაცები. 3 მ ტრამპლინი**

1. ცინ კაი (ჩინეთი) 545,35; 2. ალექსანდრ დესპატე (კანადა) 518,65; 3. დმიტრი საუტინი (რუსეთი) 517,10

**კაცები. 10 მ კოშკი**

1. გლებ გალპერინი (რუსეთი) 554,70; 2. ლუ სინ ჩჟოუ (ჩინეთი) 519,15; 3. ლინ იუე (ჩინეთი) 513,701,70

**ქალები. 3 მ ტრამპლინი**

1. ჟინ ჟინ გუო (ჩინეთი) 381,75; 2. მინ სია ვუ (ჩინეთი) 368, 80; 3. ტანია კანოტო (იტალია) 341,70

**ქალები. 1 მ ტრამპლინი**

1. ძი ხე (ჩინეთი) 316,65; 2. ბლაიტ ჰარტლი (კანადა) 311,20; 3. იულია პახალინა (რუსეთი) 304,60

### სინქრონული ცურვა

**წყვილები. თავისუფალი**

1. ანასტასია დავიდოვა, ანასტასია ერმაკოვა (რუსეთი) 99,33; 2. ხემა სივილი მენხუალი, პაოლა ტირადოს სანჩესი (ესპანეთი) 97,66; 3. აიაკო მაცუმურა, ემიკო სუძუკი (იაპონია) 97,33

**გუნდური. თავისუფალი**

1. რუსეთი 99,000; 2. ესპანეთი 98,500; 3. იაპონია 97,334

### ღია წყალში ცურვა

**ქალები. 25 კმ**

1. ბრიტა კამრაუ-კორშტეინი (გერმანია) 5 სთ 37 წთ 11,66 წმ; 2. კელინ კელერი (აშშ) 5:39.39,62; 3. ქსენია პოპოვა (რუსეთი) 5:39.51,51

**კაცები. 25 კმ**

1. იური კუდინოვი (რუსეთი) 5 სთ 16 წთ 45,55 წმ; 2. მარკო ფორმენტინი (იტალია) 5:18.36,80. 3. მუჰამედ ზანატი (ეგვიპტე) 5:19,23.23

## 35-ე მსოფლიოს ჩემპიონატი კროსში
## მომბასა. კენია. 24 მარტი



კენენისა ბეკელემ (№89) ზერსენაი ტადესეს ტემპს ვერ გაუძლო

# ეთიოპია კენიის ტალახში ჩაეფლო

## კენენისას მეექვსე არ ეღირსა

ზერსენაი ტადესე — აი, იმ კაცის სახელი და გვარი, რომელმაც აქამდე უძლეველად მიჩნეულ კენენისა ბეკელეს სიქა გააცალა და ზურგი დაანახვა. უფრო მართლები ვაქნებით თუ ვიტყვით, რომ ტადესემ ბეკელე ზურგზე დასცა და კროსში ზედიზედ მეექვსედ საჩემპიონო ტიტულის მოპოვების შანსი არ მისცა.

25 წლის ზერსენაი ტადესე ერითრეას მკვიდრია. ეს ქვეყანა აფრიკის შუა-აღმოსავლეთში, წითელი ზღვის, არაბეთის უბისა და ინდოეთის ოკეანის შესაყართან მდებარეობს და ზოგადადაც, მსოფლიოს ყველაზე ფეხმარდი მორბენლები სწორედ ამ უბნიდან არიან — კენიელები, ეთიოპიელები და აი, მეზობლებს ეს ერითრელიც შეუერთდა, რომელიც კაცმა რომ სიმართლე თქვას, უცხოსული სულაც არ არის დიდ მძლეოსნობაში — 10 კილომეტრზე სირბილში ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანია, მაგრამ კენენისას თუ წააქცევდა, ნამდვილად არავის ეგონა.

ალბათ დიდი ეთიოპიელი თავადაც ასე ფიქრბდა და თავისი სწრაფი ფეხებით მეექვსე საჩემპიონო ტიტულისკენ მიიწევდა, მაგრამ ეს ოხერი ზერსენაი ზურგსუკნიდან ვერაფრით მოიშორა — მოუმატებდა ბეკელე ტემპს და უმალ ტადესეც აჰყვებოდა. ასე გაგრძელდა მთელი 11 კილომეტრი და ფინიშამდე 800 მეტრით ადრე კი, როდესაც ერითრეელმა ერთბაშად აუჩქარა, ეთიოპიელმა ველარ გაუძლო ამ სიჩქარეს — მიხვდა, რომ წინ წასულს ველარ დაეწეოდა და ერთერთ აღმართში არაქათგამოცლილმა რბენა მიატოვა.

ტადესემ ეულად უწია ფინიშს და მას უკან, ოლონდაც გვარიანი ჩამორჩენით, კენიელები მიჰყვნენ, ბარე ხუთი კაცი და ამით მასპინძლებმა გუნდური გამარჯვება დაიბევეს.

ვერც ქალებში იმარჯვა ფავორიტმა. მომბასური, წვიმისგან ატალახებული მიწა რაღაც ეუცხოვათ ეთიოპიელებს — მძლეოსნობის დიდქალმა ტირუნეშ დიბაბამ მთლად თანამემამულესავით არ შეწყვიტა სირბილი, მაგრამ მანაც ვერაფერი მოუხერხა დაბადებითა და ჯიშით კენიელს, აწ კი ჰოლანდიის სახელით მორბენალ ლორნა კიპლაგატს. ამ 32 წლის სტაიერმა სახელოვან მეტოქეს მთელი 24 წამით აჯობა.

დიბაბას შემდეგ ფინიშს კიდევ ორმა მისმა თანამემამულემ უწია, ამის წყალობით ეთირპიელებმა გუნდური შეჯიბრი მოიგეს და ამით ოდნავ გამოიკეთეს კენენისასა და ტირუნეშის მარცხით გამოწვეული გულისწუხილი.

### კაცები

**12 კმ** 1. ზერსენაი ტადესე (ერითრეა) 35 წთ 50 წმ; 2. მოზეს მოსოპი (კენია) 36.13; 3. ბერნარდ კიპრორ კიპუეგო (კენია) 36.37

**გუნდური** 1. კენია 28 საჯარიმო ქულა; 2. მაროკო 146; 3. უგანდა 185

### ქალები

**8 კმ** 1. ლორნა კიპლაგატი (ჰოლანდია) 26.23; 2. ტირუნეშ დიბაბა (ეთიოპია) 26.47; 3. მესელეჩ მელკამუ (ეთიოპია) 26.48

**გუნდური** 1. ეთიოპია 19; 2. კენია 26; 3. მაროკო 99

### ჭაბუკები

**6 კმ** 1. ასბელ კიპროსი (კენია) 24.07; 2. ვინსენტ კიპრორ ჩეპკოკი (კენია) 24.12; 3. მეტიუ კიპკოეჩ კისორიო (კენია) 24.23

**გუნდური** 1. კენია 10; 2. ერითრეა 44; 3. ეთიოპია 54

### გოგონები

**4 კმ** 1. ლინეტ ჩეპკვემოი მარასა (კენია) 20.52; 2. მერსი ჯელიმო კოსგეი (კენია) 20.59; 3. ვერონიკა ნიარუაი ვანჯირუ (კენია) 21.10

**გუნდური** 1. კენია 13; 2. ერითრეა 35; 14. ეთიოპია 36



## მასტერსის სერია. კი ბისკაინი. აშშ. ჰარდი
## 22 მარტი-1 აპრილი. საპრიზო ფ. [illegible]$

### კაცები

#### მეორე წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — სემ ქუერი (აშშ) 6:4 6:3; **გილერმო კანასი** (არგენტინა) — ხუან-კარლოს ფერერო (19, ესპანეთი) 6:7 6:3 7:5; **რიშარ გასკე** (15, საფრანგეთი) — სებასტიენ გროჟანი (საფრანგეთი) 6:4 0:6 6:2; **ალეხანდრო ფალა** (კოლუმბია) — ტომი ჰაასი (9, გერმანია) 6:4 6;4; **ხუან-იგნასიო ჩელა** (23, არგენტინა) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:2 6:2; **ტომაშ ბერდიხი** (14, ჩეხეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4 6:1; **დავიდ ნალბანდიანი** (11, არგენტინა) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 6:3 6:4; **იარკო ნიემინენი** (20, ფინეთი) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) 6:0 6:0; **ივან ლიუბიჩიჩი** (7, ხორვატია) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:3 6:2; **ფერნანდო გონსალესი** (5, ჩილე) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:5 6:3; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — იურგენ მელცერი (26, ავსტრია) 6:0 7:5; **რობერტ კენდრიკი** (აშშ) — რაემონ სლუტერი (ჰოლანდია) 6:4 6:4; **ენდი მიურეი** (12, ბრიტანეთი) — პოლ გოლდსტეინი (აშშ) 6:2 7:6; **დავიდ ფერერი** (13, ესპანეთი) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:2 6:2; **სიმონე ბოლელი** (იტალია) — დმიტრი ტურსუნოვი (21, რუსეთი) 6:7 6:3 6:4; **ჟილ სიმონი** (32, საფრანგეთი) — ლუის ჰორნა (პერუ) 6:3 7:6; **ენდი როდიკი** (3, აშშ) — მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) 6:3 6:2; **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — ჯეიმს ბლეიკი (8, აშშ) 7:6 2:6 6:3; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — მარატ საფინი (25, რუსეთი) 7:5 7:6; **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (22, სლოვაკეთი) 6:3 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (10, სერბეთი) — დანიელე ბრაჩიალი (იტალია) 7:6 6:4; **მიხაილ იუჟნი** (16, რუსეთი) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 3:6 6:3 6:3; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა) — მარკოს ბაღდატისი (17, კვიპროსი) 6:2 5:7 6:0; **ოლივიე როხუსი** (30, ბელგია) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 6:3 6:4, **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — რიკარდო მელო (ბრაზილია) 7:6 6:2

### ქალები

#### მეორე წრე

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — იუნგ-იან ჩანი (ტაივანი) 6:3 6:2; **ვინუს უილიამსი** (აშშ) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:3 6:3; **ლუსი შაფაროვა** (23, ჩეხეთი) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:0 7:5; **სერენა უილიამსი** (13, აშშ) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:3 6:3; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — პატი შნიდერი (11, შვეიცარია) 6:1 6:4; **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — მარიონ ბარტოლი (21, საფრანგეთი) 7:6 2:6 6:4; **ვიქტორია აზარენკა** (ბელარუსი) — ანაბელ მედინა გარიგესი (26, ესპანეთი) 6:4 7:5; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (8, ჩეხეთი) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 4:6 7:5 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (3, რუსეთი) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) 7:6 6:7 6:3; **ელენა კოსტანიჩ ტოსიჩი** (ხორვატია) — ალიონა ბონდარენკო (28, უკრაინა) 6:3 7:5; **იულია ვაკულენკო** (უკრაინა) — ფრანჩესკა შიავონე (19, იტალია) 3:6 7:6 6:4; **შაჰარ პეერი** (14, ისრაელი) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:2 6:1; **იაროსლავა სვედოვა** (რუსეთი) — ანა ივანოვიჩი (12, სერბეთი) 7:5 6:4; **ტატიანა გარბინი** (24, იტალია) — ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:3 6:2; **აგნეშკა რადვანსკა** (პოლონეთი) — ჟი ჟენგი (29, ჩინეთი) 6:3 6:4; **მარტინა ჰინგისი** (5, შვეიცარია) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:3 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (7, სერბეთი) — შუაი პენგი (ჩინეთი) 6:2 6:4; **მარა სანტანჯელო** (32, იტალია) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:3 6:1; **ტატიანა გოლოვინი** (17, საფრანგეთი) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსია) 6:1 7:6; **ანა ჩაკვეტაძე** (9, რუსეთი) — ვასილისა ბარდინა (რუსეთი) 6:1 6:0; **ნა ლი** (15, ჩინეთი) — ტამირა პაშეკი (ავსტრია) 6:2 6:0; **კატარინა სრებოტნიკი** (20, სლოვენია) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:4 6:3; **სამანტა სტოსური** (25, ავსტრალია) — ოლგა პუჩკოვა (რუსეთი) 6:2 6:2; **კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 4:6 6:0 6:0; **ნადია პეტროვა** (6, რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:4 3:6 7:6; **ეკატერინა ბიჩკოვა** (რუსეთი) — სევერინ ბრემონდი (30, საფრანგეთი) 6:4 7:5; **აი სუგიამა** (22, იაპონია) — ანასტასია იაკომოვა (ბელარუსია) 6:4 6:0; **დინარა საფინა** (10, რუსეთი) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:1 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა** (16, სლოვაკეთი) — მიშელ ლარშერდე ბრიტო (პორტუგალია) 7:5 6:0; **ვერა ზვონარიოვა** (18, რუსეთი) — მეილენ ტუ (აშშ) 6:4 6:2; **ვირჟინი რაზანო** (საფრანგეთი) — მარტინა მიულერი (31, გერმანია) 6:4 7:6; **ჟუსტინ ენინი** (2, ბელგია) — ვანია კინგი (აშშ) 6:4 6:1



# მაშა შავებში

**ათიოდ დღის** წინ მთელი საჩოგბურთო სამყაროს შოკში ჩაგდების შემდეგ როჯერ ფედერერმა იგივეს გამეორება აღარ ისურვა და, კალიფორნიისგან განსხვავებით, ფლორიდაში თავის სტილში, დომინანტური ჩოგნაობით დაიწყო. ბოლო დღეებში ტაიგერ ვუდსთან გოლფის თამაშ-გართობით დასვენებულმა შვეიცარიელმა შანსიც კი არ დაუტოვა ამერიკელთა ახალ იმედად შერაცხულ თინეიჯერ სემ ქუერის და უიოლესად გამოუყვანა წირვა.

ამ ბარიერის დაძლევა არ გასჭირვებია ინდიან უელსის ტრიუმფატორ რაფაელ ნადალსაც, რომელიც ამერიკულ ჰარდზე ისე კომფორტულად გრძნობს თავს, თითქოს მშობლიური მალიორკის თიხნარზე თამაშობდეს.

მოულოდნელობების გარეშე არც ეს მასტერსი დაწყებულა. მთავარი მაინც ბოლო ხანებში დიდებულ ფორმაში მყოფი ტომი ჰაასის დამარცხება იყო. გერმანელის არასტაბილურობა ახალი ამბავი ნამდვილად არ არის, მაგრამ ამ ბოლოს დროს ამ სენისგან თითქოს განკურნებულმა ტომიმ პირველივე შეხვედრა წააგო, თან ვისთან — საშუალოზე დაბალი დონის ალეხანდრო ფალასთან.

სენსაცია იყო ჯეიმს ბლეიკის დამარცხებაც. შარშანდელი სეზონის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ჩოგბურთელი წლეულს აშკარა კრიზისშია და უკვე მერამდენე ტურნირია, გადაბმით ორი-სამი მატჩი არ მოუგია. არც მარატ საფინის ფელიჩიანო ლოპესისგან ძლევა იყო მთლად ჩვეულებრივი ამბავი.

ქალთა შორის კი ძალიან ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. ერთადერთი ამელი მორესმოა, ფლორიდაში რომ ვერ ჩავიდა, თორემ ისე ყველა ბობოლა იქ არის.

ჯერჯერობით რაიმე ხმაურიანი აქ არაფერი მომხდარა და რანგით მაღლა მდგომებმა მესამე წრეს ფაქტობრივად უდანაკარგოდ უწიეს. ჩვენ კი ტრავმების შემდეგ მობრუნებული ბელგიელების — ჟუსტინ ენინისა და კიმ კლაისტერსის წარმატებები გამოვყოთ. პირველმა საქმე ორ სეტში მოათავა, ხოლო კიმმა მოულოდნელად დაუთმო პირველი პარტია აკიკო მორიგამის, მაგრამ ამან ისე გაახელა, რომ მომდევნო ორში გეიმიც ი არ აალებინა.

ნორმალურად გამოიყურებოდა მარია შარაპოვაც, რომელიც ნელ-ნელა იბრუნებს ჩველ ფორმას. შავებში გამოწყობილი რუსი პრიმა ტაივანელ ჩანს საათზე ნაკლებ დროში გაუსწორდა. წინ კი მაშას საკმაოდ სერიოზული გამოცდა ელის ვინუს უილიამსის სახით.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ვინუსს თუ გასცდა, მეოთხე წრეში შარაპოვას სავარაუდოდ უილიამსთა კლანის კიდევ ერთ წარმომადგენელთან — სერენასთან მოუწევს დაჯახება, რაც ამა წლის პირველი სლემტურნირის ფინალის გადამღერება იქნება. ხოლო თუ სასწაული მოხდა და ვინუსმა მაინც მოუგო მაშას, მაშინ იმის მომსწრენი გავხდებით, რაც აგერ უკვე სამი წელია არ გვინახავს — უილიამსების ჯახი ხომ ყოველთვის კარგი საქმეა.

**კახა ლომაშვილი**

# კალაშნიკოვამ მერვე ველარ გაისროლა

**ეგვიპტის** მთავარქალაქ კაიროს თიხნარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ 10-ათასიან ტურნირზე 16 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ, კვალიფიკაციიდან მოყოლებული, ზედიზედ 7 მატჩი მოიგო და მხოლოდ ნახევარფინალში დამარცხდა. საკვალიფიკაციო ეტაპზე ოქსანამ ოთხი მეტოქე ჩამოიცილა და ისე მოახერხა ძირითად ბადეში მოხვედრა, სადაც კიდევ სამი თამაში მოიგო და ნახევარფინალში კი 3:6 1:6 მე-5 ნომრად განთესილ 22 წლის ჰოლანდიელ მიქაელა გერარდსთან, ვისაც WTA-ს რეიტინგში 525-ე ადგილი უკავია.

მიუხედავად ამ მარცხისა, კალაშნიკოვას ეგვიპტური თამაში წარმატებულად უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ კაიროს თიხაზე მოგებული მატჩები ოქსანას WTA-ს კლასიფიკაციაში დაბრუნების საშუალებას მისცემს და ერთი კვირის შემდეგ, როდესაც ახალი რეიტინგები გამოქვეყნდება, მასში ერთით მეტი ჩვენებური იქნება.

## ველორბოლა

# სან რემოს ოსკარი



AFP

**98-ე მილანი — სან რემო. 294 კმ. 24 მარტი**

1. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი") — 6 სთ 43 წთ 50 წმ
2. ალან დევისი (ავსტრალია, „დისქავერი")
3. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკ სტეპი")
4. რობი მაკიუენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი")
5. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC) — ყველას იგივე დრო

**პრო-ტურის სერიის რეიტინგი**

მრბოლები 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") 56 ქულა; 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა") 53; 3. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი") 52; 4. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი") 42; 5. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი") 41; 6. ალან დევისი (ავსტრალია, „დისქავერი") 40; 7. ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი, „კაისე დეპარგნე") 38; 8. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, „ასტანა") 38; 9. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი") 37; 10. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი") 34

გუნდები 1. კაისე დეპარგნე (ესპანეთი) 38 ქულა; 2. CSC (დანია) 36; 3. დისქავერი (აშშ) 33; 4. ლიქუიგასი (იტალია) 28; 5. ასტანა (ყაზახეთი) 26

**მსოფლიოს** სამგზის ჩემპიონის, ჰოლანდიური „რაბობანკის" ესპანელი მრბოლის ოსკარ ფრეირეს გამარჯვებით დასრულდა „პრო-ტურის" სერიაში შემავალი სეზონის პირველი ერთდღიანი კლასიკური რბოლა „მილანი—სან რემო".

31 წლის ესპანელმა, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატები 1999, 2001 და 2004 წლებში აქვს მოგებული, მეორედ შეძლო „პრიმავერად" წოდებული იტალიური რბოლის მოგება.

„მილანი — სან რემო", რომლითაც ტრადიციულად იხსნება საგაზაფხულო კლასიკური რბოლების სერია, წლეულს 98-ედ ჩატარდა. დისტანციის სიგრძე 194 კილომეტრი იყო და ფრეირემ ბოლო 200 მეტრზე მოაწყო საჩემპიონო შეტევა.

არადა, ესპანელს მეტოქეებად საფინიშო სპრინტის არანაკლები დიდოსტატები ჰყავდა — იტალიელი ალესანდრო პეტაკი, გერმანელი ერიკ ცაბელი, ბელგიელი ტომ ბოონენი, ავსტრალიელები რობი მაკიუენი და სტიუარტ ოგრეიდი. თუმცა, ისე მოხდა, რომ ფრეირეს ყველაზე დიდი კონკურენცია კიდევ ერთმა ავსტრალიელმა ალან დევისმა გაუწია, თუმცაღა ესპანელმა ამ ოზსაც არ დაუტოვა შანსი. დევისი მეორე იყო, ბოონენი — მესამე, ხოლო მაკიუენმა, ოგრეიდიმ, ცაბელმა და პეტაკიმ, შესაბამისად მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მერვე ადგილები დაიკავეს.

**გია მუჯირი**

## ჭადრაკი

**ამბერის ტურნირი**

**მონტე კარლო. მონაკო. 17-29 მარტი**

**VI ტური**

| | | |
|---|---|---|
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0, 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ლუკ ვანველი (ჰოლანდია) | 0,5:0,5, 0:1 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 0,5:0,5, 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5, 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 1:0, 0,5:0,5 | ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5, 0,5:0,5 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |

**VII ტური**

| | | |
|---|---|---|
| ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) | 0,5:0,5, 0:1 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5, 0,5:0,5 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5, 0:1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0:1, 0:1 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 1:0, 0,5;0,5 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0:1, 0,5;0,5 | ალექსანდრ მოროზევიჩი |

*პირველად მოცემულია დაფაზე დაუხედავი პარტიების შედეგები*

# კრამნიკმა გააჭენა

ვლადიმირ კრამნიკმა ბოლო ორ ტურში 3,5 ქულა აიღო და ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა. მსოფლიოს ჩემპიონი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს და ტურნირის მოგებითაც იქადნება: „მდევრებს მთელი ქულით ვუსწრებ და ვეცდები, ეს უპირატესობა ბოლომდე შევინარჩუნო"

მეშვიდე ტურში მან ძველი მეტოქე პეტერ ლეკო 2:0 დაამარცხა.

პირველად დიდოსტატებმა დაფაზედაუხედავი პარტია გაითამაშეს და თეთრები უნგრელს ერგო. ლეკომ ხელმწიფის გამბიტით დაიწყო შეხვედრა, მე-7 სვლაზე როქი გააკეთა და მსუბუქი ფიგურებით შავებს შეუტია. კრამნიკმა ლაზიერის ფლანგზე განავითარა ფიგურები, ასპარეზზე მძიმე ძალა გამოუშვა და ლეკოს საპასუხოდ დაარტყა. რუსმა ნელ-ნელა გამოაჩინა კლანჭები, უნგრელის რაზმს ალყა შემოარტყა და მარჯვენა კუთხეში ჩაკეტა. კრამნიკმა მეფის ფლანგზე პაიკების გაყვანა დაიწყო, ლეკო კიდევ უფრო შეავიწროვა და 54-ე სვლაზე ქულა აართვა.

საინტერესო გამოდგა სწრაფი პარტიაც. კრამნიკმა ინგლისური დებიუტი გაითამაშა, წინ მხედრები გამოაჭენა და იერიშები წამოიწყო. თითქმის მთელი პარტიის მანძილზე დაფაზე რუსი დომინირებდა, უნგრელს ხელი არ გაანძრევინა და 66-ე სვლაზე მორიგი ქულა მოიპოვა.

სწრაფ დაფაზე ყველაზე კარგად ვიშვანათან ანანდი თამაშობს, თუმც დაფაზედაუხედავში მოიკოჭლებს და საერთო ცხრილში მესამე ადგილზეა.

**ლაშა გეგეჭკორი**

**სატურნირო ვითარება**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვლადიმირ კრამნიკი | 10,5 |
| 2. | ვასილ ივანჩუკი | 9,5 |
| 3. | ვიშვანათან ანანდი | 8,5 |
| 4. | ლევონ არონიანი | 8,0 |
| 5. | პიოტრ სვიდლერი | 7,5 |
| 6. | ბორის გელფანდი | 7,5 |
| 7. | ალექსანდრ მოროზევიჩი | 7,0 |
| 8. | პიოტრ ლეკო | 6,5 |
| 9. | მაგნუს კარლსენი | 6,0 |
| 10. | თეიმურ რაჯაბოვი | 6,0 |
| 11. | ფრანსისკო ვალეხო | 4,0 |
| 12. | ლუკ ვან ველი | 3,0 |

## კრიკეტი

# პაკისტანს ინდოეთი მიჰყვა, ვულმერს — ორი ინდუსი

**ვაგრძელებთ** კრიმინალურ ქრონიკას კარიბეთში მიმდინარე კრიკეტის მსოფლიოს ჩემპიონატიდან. თავიდან ისევ ძველი თემით დავიწყოთ — გრძელდება პაკისტანის მწვრთნელ ბობ ვულმერის მკვლელობის საქმის ძიება. ორიოდ დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ იამაიკის პოლიციამ ამ საქმესთან დაკავშირებით სამი ეჭვმიტანილი დააკავა, თუმც სამართალდამცავებმა უარყვეს ვინმეს დაპატიმრება. გარდა ამისა, მწვანე აუნთეს პაკისტანის ნაკრებსაც და სახლში დაბრუნების უფლება მისცეს, მაგრამ ნაკრების ორი წარმომადგენელი კარიბეთში მაინც დარჩება და გამოძიებას დაეხმარება.

სამწუხაროა, მაგრამ სიკვდილის თემას აქ მაინც ვერ დავამთავრებთ. შაბათს ინდოეთის ნაკრების გამოვარდნას კიდევ ორი მსხვერპლი მოჰყვა. ამჯერად საქმე გულშემატკივრებს ეხებათ — ერთმა უბრალოდ ვერ გაუძლო საყვარელი აკრების წარუმატებლობას და გულმა უმტყუნა, მავანმა ახალგაზრდა ინდოელმა კი სულაც თავი მოიკლა. მოკლედ, ეს ჩემპიონატი ნამეტანი სისხლიანი გამოდგა.

ამასობაში კი ჯგუფური ეტაპი მიილია და „სუპერ რვის" შემადგენლობა საბოლოოდ გაირკვა.

A ჯგუფის გამარჯვებულთა ვინაობა კარგა ხანი ცნობილი იყო — ავსტრალიასა და სამხრეთა აფრიკას ვერავინ გაეჯიბრა. ამათ ჯახში კი უძლიერესი მოქმედი ჩემპიონი ოზები აღმოჩნდნენ, რომლებიც წლეულსაც მთავარი ფავორიტები არიან.

B ჯგუფში მთავარი მოულოდნელობა ინდოეთის გავარდნა იყო, რასაც რა ტრაგიკული ამბები მოჰყვა, ზემოთაც ვთქვით. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ინდოელები იმათ დაიბრიყვეს, ვინც სულაც ამ ქვეყნის ნაწილები იყვნენ — შრი ლანკა და ბანგლადეში ხომ ინდოეთს დაახლოებით 50 წლის წინ გამოეყვნენ.

C ჯგუფის მოულოდნელ ლიდერად ახალი ზელანდია იქცა, რომელმაც, მეზობელ ავსტრალიელთა მსგავსად, სამი მოგებით ჩაამთავრა ჯგუფური ეტაპი. ჩემპიონატის წინ ფავორიტად მიჩნეული ინგლისი კი დიდი წვალებითა და ნერვების წყვეტით გავიდა შემდეგ ეტაპზე.

D ჯგუფის უპირობო ლიდერი მასპინძელი ვესტინდოეთი იყო, რომელმაც ავსტრალიელთა და ზელანდიელთა დარად, ყველა მატჩში იმარჯვა. ჯგუფის მეორე იღბლიანი კი ჩემპიონატის დებიუტანტი ირლანდია გამოდგა.

**ბახა ლომჯარიძე**



AFP

## ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

**23 მარტი**

**ბუფალო 5:4 ტორონტო**
*1:1 0:1 4:2*
1:0 ვანეკი (6), 1:1 მაკეიბი (19), 1:2 სტეიანი (25), 1:3 დევერო (41), 1:4 დევერო (44), 2:4 ვანეკი (46), 3:4 ბრიარი (50), 4:4 პომინვილი (54), 5:4 სტეფორდი (55)

**ჩიკაგო 1:2 ლოს ანჯელესი**
*0:1 1:0 0:1*
0:1 ოსალივანი (11), 1:1 შარპი (27), 1:2 ვიზერი (57)

**ედმონტონი 4:3 კოლორადო**
*0:1 2:1 1:1 0:0 (1:0 ბულიტები)*
0:1 რიჩარდსონი (10), 0:2 საკიკი (21), 1:2 ჰემსკი (28), 2:2 სიკორა (33), 2:3 სვატოში (45), 3:3 ლუპული (59)

**ანაჰაიმი 3:2 დალასი**
*1:1 0:0 1:1 1:0 (ოვერტაიმი)*
1:0 კუნიცი (15), 1:1 ზუბოვი (16), 1:2 მოდანო (42), 2:2 კუნიცი (45), 3:2 ს. ნიდერმაიერი (63)

**24 მარტი**

**ფილადელფია 3:4 აილენდერსი**
*1:1 2:2 0:1*
0:1 პარკი (4), 1:1 კარტერი (20), 2:1 ჯონსი (24), 2:2 რობიტაილი (30), 3:2 იგერი (30), 3:3 ბლეიკი (39), 3:4 ჰილბერტი (56)

**პიტსბურგი 2:1 ატლანტა**
*1:0 0:0 1:1*
1:0 უელე (8), 1:1 მელანსი (47), 2:1 სტაალი (51)

**დეტროიტი 2:3 სენტ ლუისი**
*0:2 1:0 1:0 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 მოიზიში (5), 0:2 ბოიესი (13), 1:2 გუდლერი (28), 2:2 ფილპულა (53)

**მონრეალი 4:1 ვაშინგტონი**
*1:1 2:0 1:0*
0:1 კლარკი (6), 1:1 კოვალიოვი (9), 2:1 კოვალიოვი (30), 3:1 პლეკანეცი (36), 4:1 რაიდერი (55)

**კაროლინა 6:4 სან ხოსე**
*3:0 1:1 2:3*
1:0 უიტნი (6), 2:0 კოული (7), 3:0 ლედი (19), 3:1 გერინი (27), 4:1 სტაალი (33), 4:2 ჩიჩუ (43), 4:3 ბერნიე (51), 5:3 ლედი (58), 5:4 ტორნტონი (59), 6:4 სტილმანი (60)

**ტორონტო 4:1 ბუფალო**
*1:1 2:0 1:0*
1:0 ტაკერი (4), 1:1 ხეხტი (19), 2:1 ტაკერი (22), 3:1 კოლაიაკოვო (24), 4:1 ანტროპოვი (46)

**ფლორიდა 3:4 ნიუ ჯერსი**
*1:0 1:2 1:1 0:0 (0:1 ბულიტები)*
1:0 იოკინენი (13), 2:0 უაიზი (30), 2:1 კლარკსონი (34), 2:2 დაუდი (37), 3:2 პელტონენი (43), 3:3 დაუდი (51)

**ტამპა 2:7 ოტავა**
*1:2 1:2 0:3*
0:1 კორვო (3), 1:1 ბოილი (15), 1:2 ალფრედსონი (16), 2:2 ბოილი (23), 2:3 ჰიტლი (33), 2:4 შუბერტი (35), 2:5 იგზი (43), 2:6 მაკამონდი (46), 2:7 ჰიტლი (52)

**მინესოტა 4:1 ლოს ანჯელესი**
*2:0 0:0 2:1*
1:0 ბერნსი (6), 2:0 როლსტონი (16), 2:1 ბრაუნი (41), 3:1 ბუშარი (47), 4:1 კოივუ (56)

**ფინიქსი 3:4 დალასი**
*1:0 2:0 0:3 0:0 (0:1 ბულიტები)*
1:0 კარჩილიო (5), 2:0 ჩარნკვისტი (23), 3:0 ზიგომანისი (38), 3:1 მოროუ (41), 3:2 მიეტინენი (47), 3:3 ერიქსონი (54)

**ედმონტონი 0:4 ნეშვილი**
*0:1 0:2 0:1*
0:1 რადულოვი (5), 0:2 ვებერი (27), 0:3 სატერი (27), 0:4 ფიდლერი (43)

**ბოსტონი 1:2 რეინჯერსი**
*0:0 1:0 0:1 0:0 (0:1 ბულიტები)*
1:0 სავარი (29), 1:1 პოკი (59)

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 15:45 | 1 | ლივერპული-არსენალი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:00 | 2 | ბოლტონი-შეფილდი | 1.60 | 3.40 | 6.20 | 1.08 | 1.27 | 2.19 |
| 18:00 | 3 | ჩარლტონი-უიგანი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:00 | 4 | ფულემი-პორტსმუთი | 2.10 | 3.20 | 3.40 | 1.26 | 1.29 | 1.64 |
| 18:00 | 5 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.30 | 4.80 | 10.00 | 1.02 | 1.15 | 3.24 |
| 18:00 | 7 | ნიუკასლი-სიტი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 8 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 20:15 | 9 | უოტფორდი-ჩელსი | 10.00 | 4.70 | 1.32 | 3.19 | 1.16 | 1.03 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 11 | ტოტენჰემი-რედინგი | 1.70 | 3.30 | 5.20 | 1.12 | 1.28 | 2.01 |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 12 | ასტონ ვილა-ევერტონი | 2.50 | 3.20 | 2.75 | 1.40 | 1.30 | 1.47 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 25 | როტერჰემი-ბლეკპული | 2.75 | 3.10 | 2.35 | 1.45 | 1.26 | 1.33 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 37 | შრიუსბერი-როჩდეილი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 22:45 | 38 | უიკომბი-როვერსი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | ინგლისი | | | | | | |
| | | კონფერენსი | | | | | | |
| | | 26 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 50 | ოქსფორდი-დაგ ენდ რედი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 51 | ალდერშოტი-ვეიმუთი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 22:45 | 52 | ალტრინჰემი-სტ.რეინჯერსი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 22:45 | 53 | ქროული-უოკინგი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 22:45 | 54 | ფორესტ გრინი-ექსეტერი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 22:45 | 55 | გრეისი-რაშდენი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 22:45 | 56 | კიდერმინსტერი-ბარტონი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 22:45 | 57 | მორიკომბი-ნორთვიჩი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 22:45 | 58 | საუთპორტი-ჰალიფაქსი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 22:45 | 59 | ტემუორთი-გრეივსენდი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 22:45 | 60 | იორკი-სტივენეიჯი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| | | გერმანია | | | | | | |
| | | I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 96 | ბაიერნი-შალკე | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 17:30 | 97 | არმინია-დორტმუნდი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 17:30 | 98 | ბოხუმი-ჰანოვერი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 17:30 | 99 | კოტბუსი -ვერდერი | 3.90 | 3.30 | 1.85 | 1.78 | 1.25 | 1.18 |
| 17:30 | 101 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 102 | მაინცი-ლევერკუზენი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 17:30 | 103 | გლადბახი-აინტრახტი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 17:30 | 104 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 17:30 | 105 | შტუტგარტი-ალემანია | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 26 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 171 | პიაჩენცა-მოდენა | 1.52 | 3.20 | 7.50 | 1.03 | 1.26 | 2.24 |
| | | ესპანეთი | | | | | | |
| | | I დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 202 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.35 | 4.10 | 9.00 | 1.01 | 1.17 | 2.81 |
| 20:00 | 204 | ბეტისი-ვილიარეალი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 22:00 | 212 | სოსიედადი-ლევანტე | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 22:00 | 213 | ვალენსია-ესპანიოლი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 201 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 21:00 | 205 | სელტა-რეალი | 4.40 | 3.20 | 1.80 | 1.85 | 1.27 | 1.15 |
| 19:00 | 207 | ხეტაფე-სარაგოსა | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 19:00 | 208 | ტარაგონა-უელვა | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 23:00 | 209 | ოსასუნა-სევილია | 3.60 | 3.20 | 2.00 | 1.69 | 1.28 | 1.23 |
| 19:00 | 211 | რასინგი-ბილბაო | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| | | მჩ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 19:25 | 415 | ჩეხეთი-კვიპროსი | 1.10 | 6.50 | 18.00 | 1.00 | 1.03 | 4.77 |
| 20:00 | 416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.45 | 3.60 | 7.00 | 1.03 | 1.20 | 2.37 |
| 21:30 | 417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 8.50 | 3.60 | 1.40 | 2.52 | 1.20 | 1.00 |
| 22:45 | 419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 5.30 | 3.40 | 1.60 | 2.07 | 1.22 | 1.08 |
| 22:30 | 420 | პოლონეთი-სომხეთი | 1.11 | 6.30 | 20.00 | 1.00 | 1.05 | 4.79 |
| 22:45 | 422 | სლოვენია-ჰოლანდია | 6.00 | 3.40 | 1.55 | 2.17 | 1.23 | 1.06 |
| 23:45 | 423 | ესპანეთი-ისლანდია | 1.12 | 5.80 | 20.00 | 1.00 | 1.06 | 4.49 |
| 19:00 | 425 | უკრაინა-ლიტვა | 1.26 | 4.50 | 11.00 | 1.00 | 1,13 | 3.19 |
| 23:00 | 427 | უელსი-სან მარინო | 1.06 | 7.80 | 22.00 | 1.00 | 1.01 | 5.75 |
| 19:00 | 428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 8.00 | 3.85 | 1.38 | 2.59 | 1.17 | 1.01 |
| 19:30 | 430 | რუმინეთი-ლუქსემბურგი | 1.03 | 8.50 | 35.00 | 1.00 | 1.00 | 6.83 |
| 21:00 | 432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 21:00 | 433 | თურქეთი-ნორვეგია | 2.05 | 3.10 | 3.40 | 1.23 | 1.27 | 1.62 |
| 21:30 | 434 | მალტა-საბერძნეთი | 8.50 | 4.00 | 1.35 | 2.72 | 1.16 | 1.00 |
| 22:30 | 436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 1.90 | 3.10 | 4.00 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| 22:30 | 437 | სერბეთი-პორტუგალია | 2.90 | 3.00 | 2.32 | 1.47 | 1.28 | 1.30 |
| 22:50 | 438 | იტალია-შოტლანდია | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 23:00 | 439 | ანდორა-ინგლისი | 65.00 | 9.00 | 1.01 | 7.90 | 1.00 | 1.00 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 551 | ლიბერეცი-სპარტა | 2.00 | 4.20 | 2.60 | 1.35 | 1.13 | 1.60 |

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

# კრიშტიანუ რონალდუ ჯანზეა, ფეხები ბელგიას დაამტვრიეს

### A ჯგუფი

**პორტუგალია 4:0 ბელგია**

1:0 ნუნუ გომეში (53), 2:0 რონალდუ (55), 3:0 კვარესმა (68), 4:0 რონალდუ (75)
პორტუგალია: რიკარდუ, მიგელი, რ. კარვალიუ, ჟ. ანდრადე, პ. ფერეირა, ტიაგუ, პეტიტი (ფ. მეირა 76), მუტინიუ, რონალდუ, ნუნუ გომეში, კვარესმა (ნანი 70)
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი
ბელგია: სტეინენი, ჰოფკენსი, კლემანი, ვან ბუიტენი, ვან დერ ჰიდენი, დე მანი, ფელენი, დეფური, მარტენსი (შატელი 56), სტერჩელე, მპენზა (ვან დამი 81)
მწვრთნელი: რენე ვანდერეიკენი
გაფრთხილება: ჰოფკენსი, დე მანი, რონალდუ, ფელენი
მსაჯი: ვასარასი (საბერძნეთი)
47 009 მაყურებელი


კრიშტიანუ რონალდუმ სტინ სტინენს ხელები ააწევინა

AFP

არც ფეხი მოუტეხია კრიშტიანუ რონალდუს, არც სხვა რამ დაშავებია და ბელგიასაც ორი გოლი გაუტანა.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ პორტუგალია — ბელგიის მატჩამდე სტუმართა მეკარე სტინ სტინენმა ინტერვიუში აღნიშნა, რონალდუს დავამტვრევთ და თამაშსაც მოვიგებთო.

პორტუგალიამ თავზეხელაღებულ სტინენს ჯერ უეფაში უჩივლა, შემდეგ კი ოთხი გოლი შეუგდო...

პირველ ტაიმში მასპინძლებმა უპირატესობა სასურველ ანგარიშად ვერ აქციეს, თუმცა მეორეში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — ნუნუ გომეშმა და კვარესმამ თითო-თითო გაიტანეს, ხოლო ვითომ განწირულმა რონალდუმ დუბლი მიითვალა.

პორტუგალიამ ზედიზედ მესამე საშინაო მატჩში მიაღწია წარმატებას და ჯგუფში მესამე ადგილზე ავიდა.

ჯერ კიდევ მეოთხე წუთზე, როცა კვარესმამ ლაზათიანი საგოლე მომენტი გაანიავა, ცხადი გახდა, რომ „ძვალთმტვრეველი" ბელგიელები ტექნიკურ მასპინძელთა იერიშებს ვერ გაუძლებდნენ.

მე-13 წუთზე კვარესმამ ტიაგოს პასის შემდეგ კვლავ სახიფათოდ გაისროლა, ხოლო კრიშტიანუ რონალდუს პირველ ტაიმში, სულ ცოტა, სამჯერ მაინც უნდა გაეტანა...

ნუნუ გომეშს მეორე ტაიმის დაწყება, წესით, ულამაზესი გოლით უნდა აღენიშნა, თუმცა ბურთი ძელს გაარტყა. მაგრამ სულ ხომ არ გაუმართლებდა ბელგიას — ნახსენები ეპიზოდიდან რამდენიმე წუთში რონალდუსა და ჟოაო მუტინიუს კომბინაციის შემდეგ ბურთთან ყველაზე ახლოს გომეში აღმოჩნდა და 1:0.

ცოტაც და, სტუმრები ისევ დამწუხრდნენ — ამჯერად კვარესმას ელეგანტური გადაცემის შემდეგ კრიშტიანუ რონალდუმ თავურით შეაგდო.

ბელგიას გატანის შანსი კი მიეცა, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ტომას შატელმა ცარიელ კარს ვერ დაუმიზნა...

მერე იყო კვარესმას გოლი — პორტუელ ნახევარმცველს სანაკრებოდ აქამდე ვერ გაეტანა და ეს ბელგიასთან მოახერხა.

ბოლოს, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ჯადოსნური რონალდუ — „მანჩესტერის" მოიერიშემ მცველი გააბრიყვა და საჯარიმოს მისადგომებიდან მეოთხე გოლი გაიტანა.

„ორივე ტაიმი თანაბრად ძლიერად ჩავატარეთ. სიზუსტე დაგვაკლდა, თორემ უფრო მეტიც უნდა შეგვეგდო" — აღნიშნა ნამატჩევს ლუიშ ფელიპე სკოლარიმ.

„ფეხმოსატეხმა" კი თქვა, მეორე ტაიმი ისე მძლავრად დავიწყეთ, წინ ვერანაირი მეტოქე ვერ დაგვიდგებოდაო.

**ლადო ხომერიკი**

**ყაზახეთი 2:1 სერბეთი**

1:0 აშირბეკოვი (47), 2:0 ჟუმასკალიევი (61), 2:1 ჟიგიჩი (68)
ყაზახეთი: ლორია, სმაკოვი, კუჩმა, ჟალმაგამბეტოვი, ირისმეტოვი, სკორიხი, სერგიენკო (ჩიჩულინი 55), ბალტიევი, სუიუმაგამბეტოვი (ფინონჩენკო 80), ჟუმასკალიევი, აშირბეკოვი (ბიაკოვი 71)
სერბეთი: სტოიკოვიჩი, მარკოვიჩი, სტეპანოვი, ვიდიჩი, ტოშიჩი, კოვაჩევიჩი, ერგიჩი (კორომანი 70), იანკოვიჩი, კრასიჩი, პანტელიჩი (ლაზოვიჩი 69), ჟიგიჩი
გაფრთხილება: ირისმეტოვი, ბალტიევი, კრასიჩი, ლორია, ვიდიჩი
გაძევება: ჟიგიჩი (90)
მსაჯი: პრინაკი (სლოვაკეთი)
15 000 მაყურებელი

**პოლონეთი 5:0 აზერბაიჯანი**

1:0 ბონკი (3), 2:0 დუდკა (6), 3:0 ლობოძინსკი (34), 4:0 კრჟინოვეკი (52), 5:0 კაზმერჩაკი (84)
პოლონეთი: ბორუცი, ვასილევსკი, დუდკა, ბონკი, ჟევლაკოვი, ლობოძინსკი, გარგულია, ლევანდოვსკი, კრჟინოვეკი (იელენი 79), ჟურავსკი, მატუსიაკი
აზერბაიჯანი: ჰასანზადე, ქერიმოვი (ჯავადოვი 67), აბასოვი, პერეირა, ბახშიევი, გურბანოვი, იმამალიევი (აგაკიშიევი 65), ჩერტოგანოვი, ლეანდრო გომესი (ლადაგა 62), სუბაშიჩი
გაფრთხილება: ქერიმოვი, გურბანოვი, ჯავადოვი
მსაჯი: იაკობსონი (ისლანდია)
12 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| ფინეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 11 |
| სერბეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| პორტუგალია | 5 | 3 | 1 | 1 | 12:3 | 10 |
| ბელგია | 6 | 2 | 1 | 3 | 4:8 | 7 |
| ყაზახეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| სომხეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:5 | 1 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:13 | 1 |

**მეშვიდე ტური**

28 მარტი

აზერბაიჯანი — ფინეთი
პოლონეთი — სომხეთი
სერბეთი — პორტუგალია

# ვიზიარებ თქვენს მწუხარებას
## იმპერატორმა რეჰაგელს მიუსამძიმრა

### C ჯგუფი

**საბერძნეთი 1:4 თურქეთი**

1:0 კირიაკოსი (5), 1:1 თუნჯაი (26), 1:2 უნალი (55), 1:3 მეთინი (70), 1:4 კარადენიზი (81)
საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კირიაკოსი, დელასი, ფისასი (ტოროსიდისი 56), კაცურანისი, ბასინასი, იანაკოპულოსი, კარაგუნისი, ხარისტეასი, სამარასი
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
თურქეთი: ვოლქანი, ჰამიტ ალტინტოპი, სერვეთი, ზანი, იბრაჰიმი, აურელიო, თუმერი, საბრი, უნალი (ჰუსეინი 57), შუქური, თუნჯაი
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
გაფრთხილება: ზანი
მსაჯი: შტარკი (გერმანია)
31 405 მაყურებელი

„იმპერატორ" თერიმის თურქეთმა ოტო „ჰერაკლესის" ევროპის ჩემპიონი, მტერი საბერძნეთი გაანადგურა და ერთპიროვნული ლიდერი გახდა. არადა, კირიაკოსის მიერ მეხუთე წუთზევე გატანილი გოლი წაგებას სტუმრებს უფრო უქადდა.

„უშუალო კონკურენტის დამარცხებით ევროპის ჩემპიონატისკენ დიდი ნაბიჯი გადავდგით, თუმც ამით დაკმაყოფილებას არ ვაპირებთ. ფეხბურთელებს შესვენებაზე ვუთხარი, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი და მათაც საუცხოოდ ითამაშეს" — თქვა „იმპერატორმა".

ოტო რეჰაგელი: „შშვენივრად დავიწყეთ, დავწინაურდით კიდეც, მაგრამ გაუგებარი მიზეზების გამო უპირატესობა მეტოქეს დავუთმეთ. 1:0-ზე მოკრივესავით კუთხეში რომ არ მივამწყვდიეთ, შეცდომა იყო".

ძალიან სუსტად ითამაშა ბერძენთა მეკარე ანტონის ნიკოპოლიდისმა, რომელსაც ორი გოლი საჯარიმოს გარედან გაუტანეს.

თუნჯაიმ ანგარიში ნახევარი საათის შემდეგ გაათანაბრა — მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ხუთიოდ მეტრიდან შეასრიალა ბურთი კარში.

მეორე ტაიმში ჯერ უნალმა დაარტყა ოცი მეტრიდან — მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო, ხოლო თუმერმა ასევე შორიდან გასროლით დაჯაბნა ნიკოპოლიდისი, რომელმაც რაღაც უცნაურად, თავს ზემოთ და ხელებს შუა გაატარა ბურთი.

ბერძნებმა თავქუდმოგლეჯილებმა შეუტიეს, მაგრამ გიოკდენიზ კარადენიზმა მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირა — მარცხენა ფლანგზე ჩაურბინა ორ მცველს, მესამეს ფეხებშუა გაუტარა ბურთი და ნიკოპოლიდისთან მისულმა ახლო კუთხეში შეაგდო.

ბერძენი ქომაგები მიხვდნენ, რომ თამაში წაგებული იყო და კარადენიზის გოლის შემდეგ სკამებიდან აიშალნენ.

„ათენში საბერძნეთთან ასეთი დიდი ანგარიშით გამარჯვებაზე ვერც კი ვიოცნებებდი, მაგრამ სწორედ ესაა ფეხბურთის ხიბლი. ოთხშაბათს ნორვეგიასთან მატჩი გველის, რომლის მოგების შემთხვევაში კიდევ უფრო დავწინაურდებით ჯგუფში. არავის ვუსურვებ იმის განცდას, რაც რეჰაგელმა ამ საღამოს განიცადა" — „მიუსამძიმრა" თერიმმა რეჰაგელს, რომელსაც ფანებმა უსტვინეს.

**რომან თურქია**

**მოლდოვა 1:1 მალტა**

0:1 მალია (73), 1:1 ბურღიანი (85)
მოლდოვა: პაშჩენკო, გოლოვაცენკო, ეპურიანუ, ოლექსიჩი, ბურღიანი, რებეჟა, კომლენოკი (დადუ 85), ნამაშკო, ფრუნზე, ბუგაევი, ზმეუ (ივანოვი 63)
მალტა: ჰებერი, საიდი, ბრიფა, დიმეჩი, ჯ. აგიუსი, მიფსუდი (შიბერასი 90), ვუდსი (სამუტი 77), მალია, შემბრი (ბოგდანოვიჩი 70), შიკლუნა, პეისი
გაფრთხილება: რებეჟა, ეპურიანუ, ფრუნზე, საიდი, ოლექსიჩი
გაძევება: დადუ (90), დიმეჩი (90)
მსაჯი: ალიევი (აზერბაიჯანი)
10 000 მაყურებელი

**ნორვეგია 1:2 ბოსნია**

0:1 მისიმოვიჩი (18), 0:2 დამიანოვიჩი (33), 1:2 კარეუ (50პ)
ნორვეგია: მირე, ჰაგენი, ჰანგელანდი, სტრიომსტადი, რიისე, ანდერსენი, ჰესტადი, იონსენი, სტორბეკი, კარეუ, პედერსენი
ბოსნია: გუსო, ბერბეროვიჩი, ნადარევიჩი (რადელიჩი 47), ბაჯიჩი, კრუნიჩი, დამიანოვიჩი, მუსლიმოვიჩი, იბიშევიჩი, კუსტოვიჩი, ჰრგოვიჩი
გაფრთხილება: ჰაგენი
მსაჯი: რაილი (ინგლისი)
16 787 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:1 | 12 |
| საბერძნეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ბოსნია | 5 | 2 | 1 | 2 | 10:12 | 7 |
| ნორვეგია | 4 | 2 | 0 | 2 | 7:3 | 6 |
| მალტა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |
| უნგრეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| მოლდოვა | 5 | 0 | 2 | 3 | 3:11 | 2 |

**მეექვსე ტური**

28 მარტი

უნგრეთი — მოლდოვა
მალტა — საბერძნეთი
თურქეთი — ნორვეგია



AFP

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

D ჯგუფი

## კედელი და ინტელიგენტები

### როგორ ახერხებს გერმანია არაფრისგან გატანას?

**ჩეხეთი 1:2 გერმანია**

0:1, 0:2 კურანი (42, 62), 1:2 ბაროში (77)
ჩეხეთი: ჩეხი, უიფალუში, ჟირანეკი (ვლჩეკი 84), როზენალი, იანკულოვსკი, სიონკო (პლასილი 46), გალაშეკი (კულიჩი 67), პოლაკი, როსიცკი, კოლერი, ბაროში
მწვრთნელი: კარელ ბრიუკნერი
გერმანია: ლემანი, ლამი, მერტესაკერი, მეცელდერი, იანსენი, შნაიდერი, ფრინგსი, ბალაკი, შვაინშტაიგერი, პოდოლსკი, კურანი
მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი
გაფრთხილება: გალაშეკი, იანსენი, ლემანი, კოლერი
მსაჯი: როზეტი (იტალია)
17 821 მაყურებელი

**კევინ კურანის** ორი თავური გოლით გერმანიამ პრაღაში მოიგო და სამი ქულით გაექცა ჩეხეთს.

მეკარე პეტრ ჩეხის ნატვრა არ ახდა — მან მეოთხედ ითამაშა გერმანელთა წინააღმდეგ და მეოთხედ წააგო.

გარდა ამისა, არ დაირღვა ძველი ტრადიციაც — ბუნდესნაკრებმა ზედიზედ 23-ე შეხვედრაში უგოლოდ არ დატოვეს მოედანი ჩეხების წინააღმდეგ.

„დაცვა ისე იდგა, როგორც კედელი, ნახევარდაცვამ ინტელიგენტურად ითამაშა, ხოლო ფორვარდებმა მეტოქე გვარიანად შეაწუხეს — თქვა იოახიმ ლიოვმა — ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან მაღალი ხარისხის ფეხბურთი გამოგვივიდა და უმნიშვნელოვანესი სამი ქულაც ავიღეთ“.

მასპინძლებს მესამე წუთზევე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, როცა იან პოლაკი საჯარიმოში შევიდა და მილან ბაროშს მიაწოდა, მაგრამ მის დარტყმულ ბურთს სტუმართა კაპიტანი მიხაელ ბალაკი გადაელობა.

გერმანელებმა ნელ-ნელაააწყვეს თამაში და ტაიმის მიწურულს დაწინაურდნენ კიდეც — კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი კურანიმ ძლიერი თავურით გააგზავნა პეტრ ჩეხისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში.

„შეცდომებით სავსე იყო მთელი ჩვენი საპირველტაიმო თამაში, ხოლო კუთხურიდან გატანილმა გოლმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ გერმანელებს თითქმის არაფრისგან შეუძლიათ ხოლმე გატანა. სამწუხაროდ, მეტოქემ სიურპრიზი არ შემოგვთავაზა, ანუ ისე კარგად ითამაშა, როგორც ველოდით. მართალია, ჩვენც ვიცოდით, როგორ უნდა გვეთამაშა, თუმც ვერ მოვახერხეთ“ — თქვა ჩეხთა მეკარემ.

ჩეხეთმა განსაკუთრებით დაცვაში ვერ ივარგა, რადგან შეტევაში წასულებს ბევრი ღრიჭოები რჩებოდათ უკანა ხაზში.

ლუკას პოდოლსკის მართებდა პირველი ტაიმის ბოლოს სხვაობის გაზრდა, მაგრამ მისი დარტყმული კარის ჩარჩოს მოხვდა.

მეორე ნახევრის დასაწყისში მილან ბაროშმა ორჯერ სცადა გატანა, თუმც ორჯერვე ააცილა. ამის მერე ლუკას პოდოლსკიმ გადაამლაშა და დარტყმის ნაცვლად პასი გააკეთა, ხოლო კურანიმ ისევ თავურით, ფილიპ ლამის პასით, ამჯერად მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო ბურთი.

მილან ბაროშმა სხვაობა მატჩის ბოლოს შეამცირა — პოლაკის დარტყმული ფეხში მოხვდა და გეზნაცვალ ბურთს იენს ლემანი ვეღარ მისწვდა.

ბოლო წუთებში ჩეხები ოთხი ფორვარდითაც თამაშობდნენ, მაგრამ ვეღარაფერს გამორჩნენ...

**ვაჟა ხუციშვილი**

**ირლანდია 1:0 უელსი**

1:0 აირლენდი (39)
ირლანდია: შ. გივენი, ს. ფინანი, მაკშეინი, დანი, ჯ. ოში, კარსლი, აირლენდი (დოილი 59), დუგლასი, კ. კილბეინი, რობი კინი (მაკგიდი 89), დ. დაფი
მწვრთნელი: სტივ სტონტონი
უელსი: კოენი, რიკეტსი, ბეილი, კოლინზი, ევანსი, ნიატანგა, ლედლი (ფლეტჩერი 46), რობინსონი (ისტერი 90), დევისი, რ. გიგზი, კ. ბელამი
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: კინი, რიკეტსი
მსაჯი: ჰაუგე (ნორვეგია)
72 539 მაყურებელი

**კვიპროსი 1:3 სლოვაკეთი**

1:0 ალონეფტისი (45), 1:1 ვიტეკი (54), 1:2 შკრტელი (67), 1:3 იაკუბკო (77)
კვიპროსი: მორფისი, საციასი, ლამბრუ, ლუკა, თეოდოტუ, მიხაილი, ხარალამბიდისი, გარპოცისი, მაკრიდისი (ელია 58), ალონეფტისი, ხარალამბუსი
სლოვაკეთი: ჩონტოფალსკი, შინგლარი, შკრტელი, დიურიცა, გრეშკო, ბორბეი, კრაიჩიკი, შვენტო, საპარა (კოზაკი 68), ვიტეკი, იაკუბკო (შესტაკი 79)
გაფრთხილება: დიურიცა, გრეშკო, კრაიჩი, შკრტელი; გაძევება: მორფისი (42)
მსაჯი: ლენერი (ავსტრია)
2 696 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 4 | 1 | 0 | 21:3 | 13 |
| ჩეხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:4 | 10 |
| სლოვაკეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 15:10 | 9 |
| ირლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 7 |
| კვიპროსი | 5 | 1 | 1 | 3 | 9:15 | 4 |
| უელსი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:26 | 0 |

მეექვსე ტური

28 მარტი

ჩეხეთი — კვიპროსი
ირლანდია — სლოვაკეთი
უელსი — სან მარინო



გიგანტმა იან კოლერმა
მიხაელ ბალაკი კინაღამ გადათელა

AFP

## გულიანი სტვენა უგოლო მატჩში

G ჯგუფი

**ჰოლანდია 0:0 რუმინეთი**

ჰოლანდია: შტეკელენბურგი, ჯალენსი, მატიისენი, ბუმა, ვან ბრონკჰორსტი, ლანძაატი (ჰეიტინგა 79), ბაბელი, ვან დერ ვაარტი (დე ზეუვი 86), სნეიდერი (ზეედორფი 85), რობენი, ჰუნტელაარი
რუმინეთი: ლობონტი, კონტრა, გოიანი, ტამაში, რაცი (რადუ 78), კოჩიში, ნიკოლიტა, რადოი, კოდრია (როსუ 87), მარიკა (ნიკულაე 64), მუტუ
გაფრთხილება: ლობონტი, გოიანი, ვან დერ ვაარტი, ჯალენსი, კოდრია
მსაჯი: მერკი (გერმანია)
49 000 მაყურებელი

**ჰოლანდიამ** ხელიდან გაუშვა კიდევ უფრო დაწინაურების შანსი, რადგან ვერ მოუგო რუმინეთს, რომელიც სამი ქულით ჩამორჩება და ერთი მატჩით ნაკლები აქვს.

სტუმართაგან კარგად ითამაშა ადრიან მუტუმ — ბევრი პრობლემა შეუქმნა მეტოქეს, რომელსაც ქომაგებმა უსტვინეს.

მარკო ვან ბასტენმა განაცხადა, რომ ნახევარმცველებმა ღირებული ვერაფერი გააკეთეს და ამიტომ ოთხშაბათს სლოვენიასთან შეხვედრისთვის რამდენიმე ფეხბურთელს შეცვლის.

„მართალია, არ წავაგეთ, მაგრამ ჩემი გუნდით უკმაყოფილო ვარ. ნახევარდაცვაში პრობლემები გვაქვს და აშკარად არ ვართ საუკეთესო ფორმაში“ — თქვა მწვრთნელმა.

სტვენის მიზეზი კი ფანებს პირველივე ტაიმში მიეცათ, რადგან რუმინელებმა სამი მომენტი შექმნეს, ხოლო მასპინძლებმა მხოლოდ ერთი.

შესვენების შემდეგ ჰოლანდიამ ტემპს კი უმატა, მაგრამ კლაას-იან ჰუნტელაარი მაინც უბურთოდ დარბოდა და შანსი არც ჰქონია.

„მეორე ტაიმისთვის ტაქტიკა შევცვალე და გრძელ პასებზე ავაწყვეთ, თუმც სამი ფორვარდიდან ერთსაც არ მიეცა თავის გამოჩენის საშუალება. რუმინეთმა დაცვაში კარგად ითამაშა — აღნიშნა ვან ბასტენმა — თუმცა ჩემი გუნდის შესაძლებლობა ვიცი და დარწმუნებული ვარ, სლოვენიასთან სულ სხვაგვარად, უკეთესად ვითამაშებთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ალბანეთი 0:0 სლოვენია**

ალბანეთი: ბექაი, დალკუ, ბექირი, დედე, ჩანა, ჰაჯი, ლალა, დურო, მუკა, კაპლანი (ბუში 58), ბოგდანი (სალიჰი 89)
სლოვენია: ჰანდაროვიჩი, მავრიჩი, ჯოკიჩი, სეზარი, ილიჩი, კორენი, ზლოგარი, კომაცი, ჩეხი (აჩიმოვიჩი 80), ლავრიჩი, რაკოვიჩი (ბირსა 60)
გაფრთხილება: დედე, ზლოგარი
მსაჯი: ატარდი (მალტა)
12 000 მაყურებელი

**ლუქსემბურგი 1:2 ბელარუსი**

0:1 კალაჩევი (25), 0:2 კუტუზოვი (54), 1:2 საგრაპოლა (68)
ლუქსემბურგი: ჟუბერი, შტრახერი, ჰოფმანი, რეიტერი, კინციგერი, პეტერსი, ბეტმერი, რაიალი (ფერეირა 67), ლომბარდელი (ბიგარი 58), რემი, კოლეტი (საგრაპოლა 64)
ბელარუსი: ჟევნოვი, შტანიუკი, იურევიჩი, კულჩი, კორიტკო, სტრახანოვიჩი (ჩელიადინსკი 58), კალაჩევი, ვ. გლები, ა. გლები, კორნილენკო (ბლიზნიუკი 74), კუტუზოვი (რადიკოვი 80)
გაფრთხილება: ბეტმერი, კულჩი, კორიტკო, ბლიზნიუკი
მსაჯი: უიტბი (უელსი)
2 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 11 |
| ბულგარეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| ბელარუსი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:11 | 7 |
| სლოვენია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ალბანეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:6 | 0 |

მეექვსე ტური

28 მარტი

ბულგარეთი — ალბანეთი
რუმინეთი — ლუქსემბურგი
სლოვენია — ჰოლანდია

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრობლემები ბოლოში

**E ჯგუფი**

**ისრაელი 0:0 ინგლისი**

**ისრაელი:** ავატი, ბენ ჰაიმი, გერშონი, ციჯი, ბენადო, შპუნგინი, ბადირი, ბენაიუნი, ბენ შოშანი (ალბერმანი 84), ტემილე (ბარდა 75), ბალილი (საჰარი 69)
მწვრთნელი: დრორ კაშტანი
**ინგლისი:** რობინსონი, ფ. ნევილი (რიჩარდსი 72), ფერდინანდი, ტერი, კარაგერი, ჯერარდი, ლამპარდი, ჰარგრივსი, ლენონი (დაუნინგი 83), რუნი, ე. ჯონსონი (დეფო 80)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ბენადო, კარაგერი, რუნი, ბენ ჰაიმი
მსაჯი: ოვრებო (ნორვეგია)
35 000 მაყურებელი



AFP

**ინგლისელთა** ნაკრების მწვრთნელი სტივ მაკლარენი ისრაელში ნათამაშევ პატს თავისი ფეხბურთელების ცუდ ბოლო დარტყმას აბრალებს. არადა, როგორია, ეს ფრე ინგლისს, შესაძლოა, ევრო 2008-ის მიღმა დარჩენად დაუჯდეს.

და კიდევ, ბოლოდროინდელი მოდის შესაბამისად, ჯოხის გადატეხვას ნახევარმცველ ფრენკ ლამპარდზე შეეცადნენ. სხვა მხრივ კი, უპირატესობა ინგლისელებისა იყო.

„საშინელებაა, გქონდეს ისეთი უპირატესობა, ამდენი მომენტი შექმნა და გოლი ვერ გაიტანო — თქვა მატჩის შემდეგ მაკლარენმა — ინგლისს ეს თამაში უნდა მოეგო. ჩვენ ისრაელში ორი ქულა დავტოვეთ. ბურთს მეტოქის საჯარიმოში ვატრიალებდით და კარშიც ვურტყამდით, მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიეთ. ჩვენ ცუდმა ბოლო დარტყმებმა და გადაწყვეტილებებმა დაგვღუპა".

სტატისტიკიდან: ინგლისის ნაკრებმა ზედიზედ ოთხ შეხვედრაში ვერ მოახერხა გოლის გატანა. ეს ბოლო 26 წელიწადში ამ ქვეყნის უარესი შედეგია.

„ეს ნამდვილი პრობლემაა — აღიარა მაკლარენმა — თუმცა უფრო შეშფოთებული ვიქნებოდი, მომენტების შექმნა რომ გვიჭირდეს. ახლა კი რა გამოდის? მომენტებს ვქმნით, გოლები კი ვერაფრით გაგვიტანია. თან, საოცარი ის არის, რომ ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, რომელთაც გოლების გატანა ეხერხებათ. ახლა გადააჯგუფება, მობილიზება და ოთხშაბათის თამაშის აუცილებლად მოგება გვჭირდება".

**ბაჩუნა ჭედია**

## დავლევ და დავიძინებ

**ესტონეთი 0:2 რუსეთი**

0:1, 0:2 კერჟაკოვი (66, 79)
**ესტონეთი:** პოომი, შიშოვი (ნეემელო 80), ლემსალუ, სტეპანოვი, კრუგლოვი, დმიტრიევი, ტერეხოვი (კამსი 52), ლიეტმა (კინკი 69), ოპერი, ლინდპერე, კლავანი
**რუსეთი:** აკინფეევი, ანიუკოვი, იგნაშევიჩი, შიშკინი, ტორბინსკი, ტიტოვი, ბისტროვი (საენკო 90), ზირიანოვი, ბილიალეტდინოვი, არშავინი, კერჟაკოვი (სიჩოვი 84)
გაფრთხილება: ზირიანოვი, სტეპანოვი
მსაჯი: ჩეფერინი (სლოვენია)
11 000 მაყურებელი

**დიდი** რია-რიის მიუხედავად, რომელიც რუსეთთან მატჩის წინ ატყდა, უქულო და უგოლო ესტონეთი ასევე დარჩა. „სევილიას" ფორვარდმა ალექსანდრ კერჟაკოვმა 13-წუთიან მონაკვეთში დუბლი შეასრულა. რუსთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა კი ნამატჩევს თქვა, საღამოს ღვინოს დავლევ და ტკბილად დამეძინებაო.

„თითოეულმა ფეხბურთელმა მეორე ტაიმში გააუმჯობესა თამაში და ტემპსაც უმატა. ესაა საუკეთესო მატჩი, რომელიც ნაკრებმა ჩემი მწვრთნელობისას ჩაატარა. მოხარული ვარ, რომ ამდენი წლის მერე გუნდმა ტალინში მოიგო. ასეთი მატჩების შემდეგ ადრენალინის მოზღვავებას ვგრძნობ და დაძინება მიჭირს, მაგრამ საღამოს ღვინოს დავლევ და გემრიელად დამეძინება" — განაცხადა ჰიდინკმა, რომელიც 66-ე წუთამდე ალბათ ღვინოზე არ ფიქრობდა.

ესტონელებმა არაერთი მომენტი შექმნეს იგორ აკინფეევის კართან, მაგრამ, როგორც კი რუსებმა ტემპს მოუმატეს, მასპინძელთა დაცვა გაიბზარა.

კერჟაკოვი მარცხენა ფლანგიდან შევიდა საჯარიმოში და მარჯვენა ფეხით ჩაუშვა ბურთი შორ ძელთან. უკვე კარში შესულ ბურთს ბისტროვმა თავური მიაყოლა.

ცამეტი წუთის შემდეგ კი საპირისპირო ფლანგიდან შეჭრილმა კერჟაკოვმა მეკარისგან მარჯვენა კუთხეში მოჭრილი დაარტყა და სხვაობა ორამდე გაზარდა.

ესტონური პოლიციის ოფიციალური განცხადებით კი ქალაქში მხოლოდ ერთხელ ატყდა ჩხუბი — იქაურ და რუს ქომაგებს შორის მომხდარ შეტევებში ექვსი კაცი დაშავდა. გარდა ამისა, სტადიონზე ცხრა მთვრალი რუსი გაბაწრეს და პოლიციის განყოფილებაში მიაბრძანეს.

**გაჩა ხუციშვილი**



რუსებმა ტრიბუნებზეც მოიტყუეს

**ხორვატია 2:1 მაკედონია**

0:1 სედლოსკი (38), 1:1 სრნა (58), 2:1 და სილვა (88)
**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმიჩი, შიმუნიჩი, ჩორლუკა, რაპაიჩი (სრნა 46), ბალაბანი (ბუდანი 79), ნ. კოვაჩი, მოდრიჩი, ბაბიჩი, კრანჩარი, და სილვა
**მაკედონია:** ნიკოლოვსკი, ნოვესკი, პოპოვი, სედლოსკი, ლაზაროვსკი, მიტრესკი (იანჩევსკი 77), შუმოლიკოსკი, მაზნოვი (ვაისი 71), ნაუმოსკი, პანდევი, ვასოსკი
გაფრთხილება: სედლოსკი, შუმოლიკოსკი, ნაუმოსკი, პანდევი, სედლოსკი
გაძევება: სედლოსკი (68)
მსაჯი: პლაუცი (ავსტრია)
20 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | 13 |
| რუსეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:1 | 11 |
| ინგლისი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:2 | 8 |
| ისრაელი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:6 | 8 |
| მაკედონია | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 7 |
| ესტონეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:6 | 0 |
| ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:19 | 0 |

**მეექვსე ტური**

28 მარტი

**ისრაელი — ესტონეთი**
**ანდორა — ინგლისი**

**F ჯგუფი**

**ესპანეთი 2:1 დანია**

1:0 მორიენტესი (34), 2:0 ვილია (45), 2:1 გრავგაარდი (48)
**ესპანეთი:** კასილიასი, ხ. ნავარო, მარჩენა, კაპდევილა, ანხელი, ხავი (ხაბი ალონსო 60), ინიესტა, ალბელდა, დ. სილვა, მორიენტესი (ფ. ტორესი 64), ვილია (ანგულო 76)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
**დანია:** სორენსენი, აგერი, გრავგაარდი, იაკობსენი, ნ. იენსენი, პოულსენი, დ. იენსენი, კალენბერგი (გრონკიაერი 60), რომედალი, იორგენსენი (ანდრეასენი 38; ბენტნერი 73), ტომასონი
მწვრთნელი: მორტენ ოლსენი
გაფრთხილება: დ. იენსენი, ალბელდა, ანდრეასენი, ტომასონი, ანგულო, ანხელი, ინიესტა
გაძევება: დ. იენსენი (20)
მსაჯი: ბუსაკა (შვეიცარია)
80 000 მაყურებელი

## გოლებიც კარგია, მოგებაც, მაგრამ...

### მადრიდული ესპანეთი ვალენსიამ იხსნა

**ევრო 2008-სკენ** მიმავალ გზაზე ესპანეთმა „სანტიაგო ბერნაბეუზე" დანიას მნიშვნელოვან მატჩში მოუგო. „ფურია როხას" მეოცე წუთზე ნიკლას იენსენის გაძევება კი დაეხმარა, მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუმ" მეორე ტაიმში მაინც ინერვიულა.

დანიელებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ და შესვენებამდე ფერნანდო მორიენტესისა და დავიდ ვილიას შესანიშნავ გოლებს მეორე ნახევარში სტივ გრავგაარდის შედეგიანი დარტყმით უპასუხეს. ვიკინგებს გათანაბრებაც შეეძლოთ, მაგრამ იღბალი იმ დღეს „როხას" მხარეს იყო.

კასტილიელთა ბურთაობით ესპანური მედია მაინც უკმაყოფილო დარჩა. „მოგებით მოვიგეთ, კარგი გოლებიც გავიტანეთ, მაგრამ კაცნაკლულ დანიასთან მეორე ტაიმში ასე არ უნდა გაგვჭირვებოდა" — დაიჩივლა „მარკამ".

ნიკლას იენსენმა კი სრულიად უაზროდ აიკიდა ორი ყვითელი ბარათი.

სანამ დანიელს გააგდებდნენ, ბრძოლა თანაბარი იყო — ქომაგობით გამხნევებულმა მასპინძლებმა მეტოქეს შეუტიეს, თუმცა სტუმრები ჩაუქად ირჯებოდნენ და „ბერნაბეუს" თამაშის პირველ წუთებში სასიხარულო და სასარგებლო არაფერი უნახავს.

ძალიან კარგად ითამაშა დავიდ სილვამ — ვალენსიელმა ნაკრებში თავისი პირველი ოფიციალური მატჩი გამართა (იქამდე ორჯერ მხოლოდ ამხანაგურებში ებურთავა) და თავი არ შეურცხვენია. სილვამ „როხას" შეტევებს მარცხენა ფლანგიდან უთავკაცა და დანიელი მცველები გვარიანად შეაშფოთა. მორიენტესი და ვილია სილვასგან კარგი პასებით მარაგდებოდნენ და, წესით, ამ ამბავს ჩრდილოელთათვის სასიკეთოდ არ უნდა ჩაევლო.

ინიესტამ, რომელიც 34-ე წუთამდე მოედანზე ნაკლებად ჩანდა, ფერნანდო მორიენტესს გადასარევად უპასა და „ელ მორომაც" აგერის მოტყუების შემდეგ სორენსენის კარი ეფექტურად დალაშქრა. მორიენტესმა ამ გოლით ლეგენდარულ ემილიო ბუტრაგენიოს გადაასწრო სანაკრებო მეგოლეთა სიაში, ხოლო დანიელები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ტაიმის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე მეორე ვალენსიელმა, დავიდ ვილიამ „შეჭამა" გრავგაარდი და სორენსენთან პირისპირ გასულმა მიზანს არ ააცილა — 2:0.

მადრიდში შვებით ამოისუნთქეს, თუმცა აღმოჩნდა, რომ ჯერ ყველაფერი არ იყო დამთავრებული.

შესვენების შემდეგ გრავგაარდმა მცველთა გულარხეინობით ისარგებლა და იკერ კასილიასის კარში ბურთი თავურით შეაგდო.

ესპანეთი რაღაცნაირად გაითანგა და პირველ ტაიმში დომინანტი „როხა" მატჩის ბოლომდე ხელფეხშეკრულივით იყო.

დანიამ თამაშის გადარჩენა მაღალი ჩაწოდებებით და საჰაერო ბრძოლების მოგებით მოინდომა, თუმცა სტუმრებმა კასილიასის მეორედ დაჯაბვნა ველარ შესძლეს. დამხვდურთაგან კი ხაბი ალონსომ და ფერნანდო ტორესმა შექმნეს სახიფათო მომენტები, თუმც-

„კმაყოფილი ვარ. იმედია, ისლანდიასთანაც არ გავწბილდებით" — თქვა შეხვედრის შემდეგ ესპანელთა მწვრთნელმა ლუის არაგონესმა. მოხუცმა მატჩამდე დაიქადნა, დანიელებთან ან მოვიგებთ, ან მოვიგებთო და შეასრულა კიდეც.

**ლადო ხომერიკი**

**ლიხტენშტაინი 1:4 ჩრდ. ირლანდია**

0:1, 0:2, 0:3 ჰილი (52, 75, 83), 1:3 ბურგმაიერი (90), 1:4 მაკკანი (90)
**ლიხტენშტაინი:** იელე, ოეპრი (ტელსერი 68), მარტინ შტოკლასა, რიტერი, მიხაელ შტოკლასა, რ. ბიუხელი (დ. ფრიკი 88), ბურგმაიერი, ბეკი, მ. ფრიკი, რორერი (ბიუელი 84)
**ჩრდ. ირლანდია:** ტეილორი, დაფი, კრეიგანი, ჰიუზი, ჯონსონი, ბრანტი (მაკკანი 68), გილესპი, ევანსი, დევისი, ლაფერტი (ფინი 56), ჰილი (ჯონსი 83)
გაფრთხილება: ბიუხელი, ბურგმაიერი, გილესპი
მსაჯი: ორეხოვი (უკრაინა)
4 340 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 8:2 | 12 |
| დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| ჩრდ. ირლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:6 | 6 |
| ლატვია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 |
| ისლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| ლიხტენშტაინი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:15 | 0 |

**მეხუთე ტური**

28 მარტი

**ლიხტენშტაინი — ლატვია**
**ჩრდ. ირლანდია — შვედეთი**
**ესპანეთი — ისლანდია**



ბოსნიელებმა არც თავიანთი მეკარე ადნან გუსო დაინდეს

# ნახევარსაათიანი ხანძარი მოედანზე

**ნორვეგიის** და ბოსნიის მატჩის დაწყებიდან რამდენიმე წუთში მოედანზე იმდენი პეტარდა გადაყარეს სტუმარმა ქომაგებმა, რომ იქაურობა ცეცხლის ალში გაეხვია და ინგლისელმა მსაჯმა მაიკ რაილიმ თამაში შეწყვიტა.

პეტარდები ფეხბურთელებსაც მოხვდათ და ორივე გუნდმა გასახდელს შეაფარა თავი. თამაში 30 წუთის შემდეგ განახლდა, ამ ნახევარ საათში კი პოლიციამ ბოსნიელი ფანები სტადიონიდან გაყარა, ზოგი კი თვითონ გაიქცა.

ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის შეფმა სონდრე კააფიორდმა თქვა, პეტარდები იმდენად პატარაა, რომ ჩვენმა პოლიციამ ჩხრეკისას ვერ აღმოაჩინა.

სტადიონზე დაახლოებით 17 ათასი ბოსნიელი იყო, რომლებიც ნორვეგიაში და შვედეთში ცხოვრობენ. ისინი გაბრაზებულები იყვნენ ბოსნიის ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკებზე და მათ მაფიოზებს უწოდებდნენ. პროტესტი კი ცეცხლის გაჩენით გამოხატეს...

**ვაჟა ხუციშვილი**

# შუსტერმა პირველად ბარსელონელი მოინდომა



**ბერნდ შუსტერის** პირველი რეალური ტრანსფერი „ესპანიოლის" ცენტრალური მცველი სერხიო სანჩესი იქნება. 1 ივლისს, როცა „ქერა ანგელოზი" ფაბიო კაპელოსგან სამეფო გუნდს ჩაიბარებს, სხვაზე მეტად ბარსელონელი უკანახაზელის შეძენაზე იზრუნებს — ამის შესახებ ესპანურმა ტელევიზიამ გამოაცხადა.

სანჩესი ამჟამად „რეალ კასტილიაში" იჯარით თამაშობს. მისი მფლობელი „ესპანიოლია" და მადრიდელებიც ბარსელონელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. „რეალი" სერხიოს სატრანსფერო ღირებულებას ნაწილ-ნაწილ გადაიხდის — ორ მილიონს 30 ივნისამდე მისცემს, მილიონს მაშინ, როცა სერხიო სამეფო გუნდში პირველ ათ თამაშს ჩაატარებს, კიდევ ერთი მილიონი 20 თამაშზე და ბოლოც — 30-ზე.

სერხიო სანჩესის ფასი სულ ხუთი მილიონი ევრო გახლავთ.

„რეალ კასტილიას" მწვრთნელმა მიჩელმა ჟურნალისტებთან საუბარში სერხიოს მარტო სათამაშო ოსტატობა კი არა, მენტალური სიძლიერეც შეუქო: „რეალის" საოცნებო გუნდში ბევრია ისეთი ფეხბურთელი, რომელთაც ძირითად გუნდში მოსახვედრად ხელს სულსწრაფობა უშლით. მათ მაგალითი სერხიო სანჩესისგან უნდა აიღონ. ამ ბიჭმა პრიმერადივიზიონის „ესპანიოლი" მიატოვა და სეგუნდას გუნდში გადავიდა, რადგანაც იცოდა, რომ მხოლოდ ეს იყო მისი შანსი „რეალში" მოსახვედრად".

სერხიო 20 წლისაა, მიჩელის გუნდის ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია და ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრებშიც უთამაშია.

„არ ვიცი, სამომავლოდ რა მოხდება, ახლა კი მარტო „კასტილიაზე" ვფიქრობ" — აცხადებს იგი.

**ლადო ხომერიკი**

# ემანუელ ადებაიორი: სანამ მომკლავენ, წავალ



**23 წლის** ემანუელ ადებაიორი ალბათ ტოგოს ნაკრებს სამუდამოდ გამოეთხოვება.

ლონდონის „არსენალის" თავდამსხმელს უკვე რახანია, მოკვლით ემუქრებიან, თუმც ეს ამბავი ჯერაც გამოუძიებელია და ადებაიორიც ამად დაფიქრებულა.

ადებაიორს ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაემუქრნენ და მაშინ ითქვა, ეს იმის გამოძახილია, ემანუელმა ტოგოს ფეხბურთის ფედერაციისგან დავალიანების დაფარვა კატეგორიულად რომ მოითხოვაო.

ახლა მუქარები განახლდა და არსენალელმაც თქვა, დღე-დღეზე ლონდონში დავბრუნდები და ნაკრებიდან წასვლაზე სერიოზულად ვიფიქრებო.

**ბაჩა შალამბერიძე**

# უეფარგლები იხაზება

**მიშელ პლატინიმ** ნიონის ოფისში ევროპულ კლუბთა ორდღიანი ფორუმი მოაწყო. თემა: უეფას თასის რეორგანიზაცია. უფრო ზუსტად კი, ფორუმზე ძველისძველი შეჯიბრის მონაწილეთა რაოდენობის 80-დან 48-მდე შემცირება გადაწყდა.

გეგმა ასეთია: ხსენებულ 48 გუნდს ოთხ-ოთხად 12 ჯგუფში გაანაწილებენ. ამ გუნდებიდან 32 თავიანთი ქვეყნებიდან პირდაპირ უეფას თასზე იქნება გასული, 16 კი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდიდან დაიფერთხება.

აღსანიშნავია, რომ ფორუმზე დიდი ევროპული ხუთეულის წარმომადგენელთა (ინგლისი, იტალია, გერმანია, ესპანეთი და საფრანგეთი) რაოდენობის შემცირებაზეც იმსჯელეს, მაგრამ ვერაფერზე შეთანხმდნენ. ხუთეულს უეფას თასზე თამაშიც ისევე უნდა, როგორ ჩემპიონთა ლიგაში.

მხარეებმა ჩემპიონთა ლიგით შეკრებილი თანხების განაწილების პრინციპებზეც ისაუბრეს. გადაწყდა, რომ თანხის 72 პროცენტი მონაწილეებს გაუნაწილდებათ, 10 პროცენტი საკვალიფიკაციო ეტაპიდან გავარდნილებს, 12 პროცენტით შეჯიბრის ჩატარებაზე დახარჯული თანხები დაიფარება, დარჩენილი 6-ს კი უეფა წაიღებს.

ფორუმმა იმსჯელა კლუბების მიერ ფულის ხარჯვის კონტროლსა და ფეხბურთელების ხელფასის მაქსიმუმის დაწესებაზეც. რამდენადაც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, ამ თემებზე კამათი საინტერესო გამოდგა.

ცნობილი გახდა აგრეთვე ის, რომ უეფა ჰქმნის 16-წევრიან სტრატეგიულ საბჭოს, რომელიც ევროპული ფეხბურთის განვითარების სტრატეგიასა და კლუბების ურთიერთობაზე იმუშავებს.

მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, სავარაუდოდ, ამა წლის შემოდგომისთვის უნდა ველოდოთ.

**ბაკურა ძიდია**



# ზოლებიანი ზე რობერტო და ჟუანი

**32 წლის** ბრაზილიელი ნახევარმცველი ზე რობერტო ზაფხულში „მილანთან" ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს — გვატყობინებს იტალიური მედია. „ლევერკუზენისა" და მიუნხენის „ბაიერნის" ყოფილი ფეხბურთელი ახლა ბრაზილიურ „სანტოსში" თამაშობს, თუმც სეზონის ბოლოს „შავ-წითლებს" თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდება.

ამასობაში, „მილანში" თამაშის სურვილი კიდევ ერთმა ბრაზილიელმა, ჟუანმა გამოთქვა — „ლევერკუზენის" მცველმა თავისი გულისნადები ჩილესთან ამხანაგური მატჩის შემდეგ გაამხილა, კაკა ჩემი ახლო მეგობარია და მასთან ერთად კლუბში თამაშიც ფანტასტიკური იქნებაო.

# იუვემ მოიტაცა ჰუნტელაარი

**ამსტერდამის** „აიაქსმა" ლონდონის „არსენალს" უარი უთხრა კლაას-იან ჰუნტელაარის მიყიდვაზე და, იტალიური მედიის ცნობით, ამის მიზეზი „იუვენტუსი" ყოფილა. იტალიელები ამტკიცებენ, რომ „ბებერი ქალბატონი" „აიაქსს" უკვე მოურიგდა და 23 წლის ფორვარდში 12 მილიონ ევროს იხდის.

ამსტერდამელ და ტურინულ კლუბს კარგა ხანია, საქმიანი ურთიერთობა აქვთ და სწორედ ამან გადაწყვიტა ჰუნტელაარის ტრანსფერი.

# პოლონური არკა მოხსნეს

**პოლონეთის** ფეხბურთის ასოციაციამ უმაღლესი დივიზიონის კლუბი „არკა" ერთი თვით მოკვეთა ყველა შეჯიბრიდან. „არკა" გარეული ყოფილა თამაშების ჩაწყობაში და ნაირ-ნაირ კორუფციულ გარიგებებში, რომელსაც უკვე ორი წელია, იძიებენ. ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის შეფ მიხალ ტომჩაკის თქმით, „არკას" ამოვარდნა ლიგიდან ცხრილს შეცვლის — ეს გუნდი მეორე ადგილზე იმყოფებოდა.

# გამოფენილი რასიზმი ლიტვაში

**ლიტვასთან** 1:0 მოგების შემდეგ ფრანგთა ნაკრების ფეხბურთელებმა განაცხადეს, რომ სტადიონზე რასისტული პლაკატი იყო გამოფენილი. პლაკატზე ეხატა აფრიკის კონტინენტი, შეღებილი საფრანგეთის დროშის ფერებში და ეწერა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ევროპაში!" — ზოგმა ფეხბურთელმა დაინახა ეს, ზოგმა ვერა, მაგრამ ფაქტია, რომ ტრიბუნაზე გამოფინეს და უეფა ამას გამოიძიებს.

# მარადონასი საყელოც ჭამს

**დიეგო მარადონა** დღეში ოთხ სიგარას აბოლებს, დიეტასაც ველარ იცავს, ემატება კილოები და გასახდომად შვეიცარიაში აპირებს წასვლას. ამის შესახებ მისმა პირადმა ექიმმა ალფრედო კოემ განაცხადა: „მარადონა დიეტას არღვევს, ამიტომ როგორმე უნდა მოვაშორო მეგობრებს და წავიყვანო სხვა ქვეყანაში, ალბათ შვეიცარიაში, რათა ფორმაში ჩადგეს".

შევახსენებთ, რომ დიეგოს 2005 წელს კუჭის ოპერაცია გაუკეთეს და დაუპატარავეს, რადგან ძალიან გასუქდა. შედეგად 30 კილო დაიკლო, მაგრამ ბოლო ხანს ისევ მოემატა წონა.

**ვაჟა ხუციშვილი**



AFP

ბრაზილია — ჩილე 4:0. საშიში და დასაგმობი არაფერი: შვედურ გიოტებორგში რონალდინიო გაალმერთეს

## ამხანაგური მატჩები

**ბრაზილია 4:0 ჩილე**

1:0 რონალდინიო (16პ), 2:0 კაკა (31), 3:0 რონალდინიო (49), 4:0 ჟუანი (59)

**ჩინეთი 0:2 ავსტრალია**

0:1 ჰოლმანი (8), 0:2 ბრეშიანო (27)

**ტაივანი 0:1 უზბეკეთი**

0:1 ხოშიმოვი (52)

**იაპონია 2:0 პერუ**

1:0 მაკი (18), 2:0 ტაკაჰარა (54)

**კორეა 0:2 ურუგვაი**

0:1, 0:2 ბუენო (19, 38)

**ვენესუელა 3:1 კუბა**

1:0 არანგო (11), 2:0 ტორეალბა (32), 2:1 ალკანტარა (47), 3:1 კ. გონსალესი (56)

**ყატარი 0:1 ირანი**

0:1 ნიკბახტი (7)

**ჩერნიგორია 2:1 უნგრეთი**

0:1 პრისკინი (1), 1:1 ვუჩინიჩი (64პ), 2:1 ბურზანოვიჩი (82პ)

**ავსტრია 1:1 განა**

1:0 აუფჰაუზერი (56), 1:1 მუნტარი (86)

**სალვადორი 0:2 ჰონდურასი**

0:1, 0:2 ოლივა (25, 65)

**კოსტა რიკა 4:0 ახ. ზელანდია**

1:0 საბორიო (6), 2:0 სოლისი (18), 3:0 რუისი (58), 4:0 საბორიო (80პ)

**აშშ 3:1 ეკვადორი**

1:0 დონოვანი (3), 1:1 საისედო (16), 2:1, 3:1 დონოვანი (68, 70)

**კოლუმბია 3:1 შვეიცარია**

1:0 პერეა (5), 1:1 ფრაი (39პ), 2:1 ვიაფარა (57), 3:1 ჩიტივა (85)

**მექსიკა 2:1 პარაგვაი**

1:0, 2:0 ბორხეტი (79, 82), 2:1 კრუზი (90)

**ჰაიტი 3:0 პანამა**

**გვადელუპე — ტრინიდადი**

*გადაიდო*

**ბარბადოსი — გვატემალა**

*გადაიდო*

### ახალგაზრდულები (U-21)

ისრაელი — რუსეთი 0:0; სერბეთი — ბელგია 0:1; ჩეხეთი — ჰოლანდია 1:1; ავსტრია — გერმანია 2:5; საფრანგეთი — დანია 3:1; პორტუგალია — სლოვაკეთი 2:0; ინგლისი — იტალია 3:3; თურქეთი — შვეიცარია 2:1; რუმინეთი — ჩრდ. ირლანდია 2:0. *პოლონეთი — ლატვია დღეს გაიმართება*

## ბელგია

### მეორე კლასი
### გადადებული მატჩები

**ვიგორი 3:2 დენდერი**

**ვარეგემი 3:0 დესელი**

## პორტუგალია

### თასის მეოთხედფინალი

**ბრაგა 2:0 ვარზიმი**

## შოტლანდია

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩები

პარტიკი — ეირდრი 0:1; ქუინი — კლაიდი 0:0; სენტ ჯონსტონი — დანდი 2:0

### მეორე დივიზიონი
### გადადებული მატჩები

ფორფარი — მორტონი 0:4; სტრანრარი — კოუდენბითი 1:6

### მესამე დივიზიონი
### გადადებული მატჩები

ელგინი — არბროთი 0:1; დამბარტონი — ისტ ფაიფი 0:2; მონტროუზი — ბერვიკი 1:2

## ირლანდია

### პრემიერლიგა
### III ტური

გალვეი — დროჰედა 2:3; დუბლინი — კორკი 0:1; უოტერფორდი — ბრეი 1:2; დერი — სენტ პატრიკსი 0:1; ლონგფორდი — სლიგო 0:1. *ბოჰემიანსი — შემროკი გადაიდო*

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა
### გადადებული მატჩები

**ბოლმი 0:4 ვინტერთური**

**ძსამაძსი 2:0 ლუგანო**

## პოლონეთი

### ლიგის თასი
### VI ტური

გურნიკი — ზაგლებე 0:1; ოდრა — ვისლა 2:0; ლოძი — ლეგია 1:2; პლოცკი — ბელხატოვი 0:2; ლეჩნა — კორონა 3:4; ვიძევი — კრაკოვია 1:0; გროცლინი — ლეხი 2:1. *პოგონი — არკა გადაიდო*

## ინგლისი

### პირველი ლიგა
### XXXIX ტური

ბორნმუთი — ტრანმერი 2:0; ბრედფორდი — ბლეკპული 1:3; ბრაიტონი — ჰადერსფილდი 0:0; კარლაილი — ჯილინგემი 5:0; ქრიუ — როტერჰემი 1:0; დონკასტერი — ბრისტოლი 0:1; ლეიტონი — სკანთორპი 2:2; ნოტინგემი — ჩელტენემი 3:0; პორტ ვეილი — მილუოლი 2:0; სუონსი — ნორთჰემპტონი 2:1; იოვილი — ჩესტერფილდი 1:0; ბრენტფორდი — ოლდემი 2:2

### მეორე ლიგა
### XXXIX ტური

მენსფილდი — მაკლსფილდი 1:2; უიკომბი — ბოსტონი 0:0; აკრინგტონი — ჰერეფორდი 2:0; როვერსი — რექსემი 0:1; ბერი — ნოტსი 0:1; ჩესტერი — ბარნეტი 2:0; გრიმსბი — პიტერბრო 0:2; შრიუსბერი — ტორკი 1:0; სტოკპორტი — როჩდეილი 2:7; დარლინგტონი — ჰარტლპული 0:3; ლინკოლნი — სუინდონი 2:3; დონსი — უოლსოლი 1:1

### კონფერენსლიგა
### XXXIX ტური

გრეივსენდი — ალდერშოტი 1:1; რაშდენი — ქროული 1:1; ბარტონი — მორეკემბი 2:1; ექსეტერი — იორკი 1:1; სენტ ალბანსი — კიდერმინსტერი 1:1; სტაფორდი — გრეისი 4:2; სტივენეიჯი — ალტრინჩემი 0:1; ვეიმუთი — ტემუორთი 3:1; უოქინგი — სოთპორტი 1:1; ნორსვიჩი — კემბრიჯი 0:4. *ოქსფორდი — დაგენემი დღეს გაიმართება*

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
### XXVI ტური

ვილჰელმშავენი — ჰამბურგი (მ) 3:3; ლევერკუზენი (მ) — ზანკტ პაული 2:1; დორტმუნდი (მ) — დიუსელდორფი 1:0; ლიუბეკი — ოსნაბრიუკი 2:0; ვერდერი (მ) — ალენი 0:2; ვუპერტალი — ერფურტი 3:1; მაგდებურგი — დინამო 1:0; ჰერტა (მ) — მიონხენგლადბახი (მ) 0:2. *უნიონი — კილი გადაიდო*

### სამხრეთ რეგიონალლიგა
### XXV ტური

ინგოლშტადტი — ჰესენი 2:0; ზიგენი — პირმასენსი 1:1; ბაიერნი (მ) — როიტლინგენი 3:0; დარმშტადტი — მიუნხენი (მ) 1:0; კაიზერსლაუტერნი (მ) — ელვერსბერგი 1:4; შტუტგარტი (მ) — ჰოფენჰაიმი 0:3; ზაარბრიუკენი — კიკერსი 3:3. *პფულენდორფი — ვეჰენი და კარლსრუე (მ) — აალენი გადაიდო*

## ბულგარეთი

### ვიშა ლიგა
### XIX ტური

ბელასიცა — ლოკომოტივი (ს) 1:2; მარეკი — ვიხრენი 0:1; რილსკი — ლევსკი 2:1; როდოპა — ჩერნომორეცი 1:0; სპარტაკი — ცსკა 1:3; ჩერნო მორე — ბეროე 1:0; ლოკომოტივი (პ) — ბოტევი 2:0. *ლიტექსი — სლავია 4 აპრილს გაიმართება*

## მექსიკა

### კლაუსურა
### XII ტური

კერეტარო — ტეკოსი 2:2; მონტერეი — სან ლუისი 3:2; ატლანტე — უნამი 1:1; ნეკაქსა — ამერიკა 1:2; პაჩუკა — ატლასი 4:2. *სანტოსი — ვერაკრუსი და ტოლუკა — ხაგუარესი წუხელ გვიან დამთავრდა*

## იტალია

### სერია B. XXX ტური

ალბინოლეფე — რიმინი 0:0; ჩეზენა — მანტოვა 1:1; კროტონე — ჯენოა 0:3; ლეჩე — არეცო 1:0; სპეცია — ბარი 1:2; ვერონა — ვიჩენცა 2:1; ბოლონია — ფროზინონე 1:0. *პიაჩენცა — მოდენა დღეს გაიმართება, იუვენტუსი — ნაპოლი, ტრევიზო — პესკარა და ბრეშა — ტრიესტინა გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 28 | 19 | 7 | 2 | 56:19 | 55 |
| ნაპოლი | 28 | 12 | 13 | 3 | 33:20 | 49 |
| ჯენოა | 29 | 14 | 7 | 8 | 44:33 | 49 |
| ბოლონია | 29 | 14 | 7 | 8 | 34:24 | 49 |
| რიმინი | 29 | 12 | 11 | 6 | 40:25 | 47 |
| პიაჩენცა | 28 | 14 | 5 | 9 | 34:31 | 47 |
| მანტოვა | 29 | 10 | 15 | 4 | 32:20 | 45 |
| ჩეზენა | 30 | 11 | 9 | 10 | 41:43 | 42 |
| ალბინოლეფე | 29 | 8 | 16 | 5 | 31:27 | 40 |
| ვიჩენცა | 29 | 9 | 9 | 11 | 32:28 | 36 |
| ტრიესტინა | 28 | 9 | 10 | 9 | 25:30 | 36 |
| ბრეშა | 28 | 9 | 9 | 10 | 29:34 | 36 |
| ლეჩე | 29 | 10 | 5 | 14 | 36:40 | 35 |
| ტრევიზო | 28 | 8 | 10 | 10 | 31:30 | 34 |
| ბარი | 29 | 8 | 10 | 11 | 24:28 | 34 |
| ფროზინონე | 29 | 8 | 10 | 11 | 26:37 | 34 |
| სპეცია | 30 | 7 | 12 | 11 | 33:39 | 33 |
| ვერონა | 29 | 8 | 8 | 13 | 19:28 | 32 |
| კროტონე | 29 | 6 | 10 | 13 | 24:42 | 28 |
| მოდენა | 28 | 6 | 8 | 14 | 19:29 | 26 |
| პესკარა | 28 | 4 | 9 | 15 | 23:47 | 20 |
| არეცო | 29 | 4 | 12 | 13 | 21:33 | 18 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა*

### სერია C1/A. XXVII ტური

პრო სესტო — ივრეა 3:1; ჩიტადელა — პიზა 0:1; კრემონეზე — პავია 1:1; ლუკეზე — პადოვა 0:1; ნოვარა — ვენეცია 1:1; პისტოიეზე — მონცა 0:0; პრო პატრია — მასეზე 2:1; სანჯოვანეზე — პიციგეტონე 3:0. *სასუოლო — გროსეტო 0:0-ზე ჩაიშალა*

### სერია C1/B. XXVII ტური

რავენა — ტერნანა 1:0; გალიპოლი — ანკონა 0:2; ჯულიანოვა — ტარანტო 0:2; მანფრედონია — ფოჯა 1:1; მარტინა — ლანჩანო 0:0; პერუჯა — იუვე სტაბია 0:0; სალერნიტანა — აველინო 1:1; სამბენედეტეზე — ტერამო 2:0; სან მარინო — კავეზე 2:0

## საფრანგეთი

### მეორე დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**ლიბურნი 0:2 მეცი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 29 | 17 | 10 | 2 | 43:14 | 61 |
| კაენი | 29 | 16 | 10 | 3 | 52:28 | 58 |
| სტრასბური | 28 | 14 | 11 | 3 | 33:20 | 53 |
| ლე ავრი | 29 | 13 | 10 | 6 | 42:24 | 49 |
| ამიენი | 29 | 14 | 6 | 9 | 39:34 | 48 |
| ბასტია | 29 | 11 | 10 | 8 | 37:32 | 43 |
| შატორუ | 29 | 12 | 6 | 11 | 33:34 | 42 |
| დიჟონი | 29 | 11 | 9 | 9 | 29:33 | 42 |
| გენიონი | 29 | 11 | 6 | 12 | 34:37 | 39 |
| გრენობლი | 28 | 9 | 11 | 8 | 38:33 | 38 |
| რეიმსი | 29 | 10 | 8 | 11 | 34:33 | 38 |
| აიაჩო | 29 | 9 | 9 | 11 | 33:35 | 36 |
| ლიბურნი | 29 | 9 | 7 | 13 | 34:40 | 34 |
| გენგამი | 29 | 7 | 11 | 11 | 31:34 | 32 |
| ბრესტი | 29 | 6 | 13 | 10 | 30:34 | 31 |
| მონპელიე | 29 | 7 | 9 | 13 | 30:36 | 30 |
| ნიორი | 29 | 6 | 11 | 12 | 25:38 | 29 |
| კრეტეი | 29 | 5 | 11 | 13 | 20:38 | 26 |
| ისტრი | 29 | 6 | 8 | 15 | 22:42 | 26 |
| ტურსი | 29 | 5 | 6 | 18 | 24:44 | 21 |

## ესპანეთი

### სეგუნდა დივიზიონი
### XXX ტური

კადისი — ალბასეტე 1:2; ერკულესი — სალამანკა 2:0; მურსია — სპორტინგი 3:1; ტენერიფე — ლას პალმასი 3:1; მალაგა — ხერესი 1:0; ალმერია — ნუმანსია 3:0; კასტელიონი — ალავესი 2:0; პონფერადინა — ლორკა 2:1; რეალი B — პოლი ეხიდო 4:1; ვესინდარიო — სიუდად მურსია 0:1; ელჩე — ვალიადოლიდი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალიადოლიდი | 30 | 19 | 8 | 3 | 47:21 | 65 |
| მურსია | 30 | 16 | 9 | 5 | 46:31 | 57 |
| ალმერია | 30 | 16 | 7 | 7 | 50:31 | 55 |
| სიუდად მურსია | 30 | 13 | 6 | 11 | 30:27 | 45 |
| ხერესი | 30 | 12 | 8 | 10 | 33:26 | 44 |
| კადისი | 30 | 11 | 11 | 8 | 34:31 | 44 |
| ნუმანსია | 30 | 12 | 8 | 10 | 33:30 | 44 |
| სალამანკა | 30 | 12 | 7 | 11 | 38:34 | 43 |
| ალბასეტე | 30 | 12 | 7 | 11 | 36:35 | 43 |
| პოლი ეხიდო | 30 | 11 | 9 | 10 | 38:35 | 42 |
| ერკულესი | 30 | 11 | 8 | 11 | 35:33 | 41 |
| სპორტინგი | 30 | 12 | 4 | 14 | 35:32 | 40 |
| ალავესი | 30 | 10 | 10 | 10 | 34:37 | 40 |
| ტენერიფე | 30 | 11 | 6 | 13 | 29:35 | 39 |
| ლას პალმასი | 30 | 9 | 11 | 10 | 37:37 | 38 |
| რეალი B | 30 | 10 | 8 | 12 | 34:41 | 38 |
| ელჩე | 30 | 9 | 10 | 11 | 32:34 | 37 |
| მალაგა | 30 | 9 | 9 | 12 | 30:37 | 36 |
| კასტელიონი | 30 | 9 | 8 | 13 | 29:33 | 35 |
| პონფერადინა | 30 | 8 | 9 | 13 | 26:36 | 33 |
| ლორკა | 30 | 6 | 7 | 17 | 25:42 | 25 |
| ვესინდარიო | 30 | 5 | 4 | 21 | 25:58 | 19 |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი. XXXIII ტური

გრააფსხაპი — აპელდორნი 3:1; ემენი — ალმერე 2:1; სიტარდი — დენ ბოსხი 0:0; იგლსი — ჰაარლემი 3:1; ჰელმონდი — როზენდალი 2:0; მაასტრიხტი — ეინდჰოვენი 2:2; ტელსტარი — დორდრეხტი 0:0; ოსი — ვოლენდამი 0:2; ვენლო — ვეენდამი 2:1; ზვოლე — კამბური 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრააფსხაპი | 33 | 23 | 6 | 4 | 76:30 | 75 |
| როზენდალი | 33 | 17 | 10 | 6 | 72:39 | 61 |
| ვენლო | 33 | 18 | 7 | 8 | 54:40 | 61 |
| დენ ბოსხი | 33 | 17 | 8 | 8 | 54:37 | 59 |
| დორდრეხტი | 33 | 17 | 7 | 9 | 66:40 | 58 |
| ვოლენდამი | 33 | 15 | 11 | 7 | 53:34 | 56 |
| ვეენდამი | 33 | 12 | 13 | 8 | 53:40 | 49 |
| იგლსი | 33 | 13 | 9 | 11 | 49:43 | 48 |
| ზვოლე | 33 | 12 | 10 | 11 | 60:44 | 46 |
| ტელსტარი | 33 | 13 | 6 | 14 | 55:52 | 45 |
| ემენი | 33 | 11 | 9 | 13 | 50:58 | 42 |
| ჰაარლემი | 33 | 9 | 12 | 12 | 39:48 | 39 |
| მაასტრიხტი | 33 | 9 | 11 | 13 | 41:46 | 38 |
| ალმერე | 33 | 10 | 8 | 15 | 50:69 | 38 |
| სიტარდი | 33 | 10 | 7 | 16 | 33:50 | 37 |
| ოსი | 33 | 10 | 5 | 18 | 53:71 | 35 |
| კამბური | 33 | 9 | 7 | 17 | 35:54 | 34 |
| ჰელმონდი | 33 | 6 | 11 | 16 | 32:68 | 29 |
| აპელდორნი | 33 | 7 | 7 | 19 | 39:68 | 28 |
| ეინდჰოვენი | 33 | 5 | 10 | 18 | 38:71 | 25 |

## არგენტინა

### კლაუსურა. VII ტური

ნუევა ჩიკაგო — ბელგრანო 2:0; რასინგი — არსენალი 2:2; ესტუდიანტესი — როსარიო 3:0; ველესი — კოლონი 1:1; ხიმნასია (ლ) — ბანფილდი 0:1; ლანუსი — არგ. ხუნიორსი 2:1; ოლდ ბოისი — კილმესი 2:2; რივერ პლეიტი — ხიმნასია (ხ) 0:1; სან ლორენსო — ინდეპენდიენტე 4:3. *გოდოი კრუზი — ბოკა ხუნიორსი წუხელ გვიან დამთავრდა*


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგეშაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: [illegible]
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: [illegible]
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: [illegible]
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოშტარია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, [illegible] ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: [illegible]
სტილისტები: [illegible]
კომპიუტერული ცენტრი: [illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00